F 75 N2334

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 259 (10956) | პარასკევი, 1 ნოემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! მივცეთ სამშობლოს მეტი მარცვლეული, ხორცი, რძე, ბამბა, მატყლი, სელი, ჭარხალი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

მძლავრი მამოძრავებელი ძალა კომუნიზმისათვის ბრძოლაში

ჩვენს დიად სამშობლოში კიდითკიდემდე გაისმის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებათა მგზნებარე სიტყვები:

— დიდება დიდ ოქტომბერს, რომელმაც დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის დამსხვრევისა და სოციალიზმის დამკვიდრების ერა!

როგორ გავიზარდეთ, რა სწრაფი ტემპით წავედით წინ ამ დიადი ისტორიული დღიდან!

ჩვენი ქვეყნის თვითეული მშრომელი წინასადღესასწაულო დღეებში სიამაყის გრძნობით იგონებს სსრ კავშირის მიერ დღევანდლამდე განვლილი ისტორიული გზის სახელოვან ეტაპებს. იოლი როდი იყო მსოფლიო იმპერიალიზმის ფრონტის გარღვევა და ნახევრადკოლონიურ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის დიადი საქმის დაწყება. სახალხო მეურნეობის საშინელი ნგრევა, იმპერიალისტური ქვეყნების ეკონომიური ბლოკადა, სამხედრო ინტერვენცია, საბოტაჟი, დივერსია, მოუსავლიანობა და შიმშილი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინაშე თითქოს გარდუვალ კედლად აღიმართნენ და დაღუპვას ემუქრებოდნენ. მაგრამ შეურყეველი იყო მშრომელთა რწმენა ბედნიერი მომავლისადმი, ხოლო მიზნები — მეცნიერულად დასაბუთებული, უჩვეულოდ აღმფრთოვანებელი და შთამაგონებელი. სახელოვანი კომუნისტური პარტიის ბრძნული წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი გაბედულად მიდიოდა სიძნელეებისა და დაბრკოლებების წინააღმდეგ ბრძოლაში, ოსტატურად ძლევდა მრავალგვარ განსაცდელს და აღწევდა გამარჯვებებს.

ოქტომბრის რევოლუციის განხორციელებით ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა სამუდამოდ მოიშორეს ექსპლოატატორული ჩაგვრის უღელი და განახორციელეს საუკუნოვანი ოცნება — მოიპოვეს საკუთარი სამშობლო. ამ დიდმა გამარჯვებამ მტკიცე საფუძველი შეუქმნა ხალხის სულიერი და ფიზიკური ძალების უჩვეულო გაფურჩქვნას. საბჭოთა პატრიოტიზმის ყოვლისშემძლე იდეებით გამსჭვალული ადამიანები არნახულ წარმატებებს აღწევდნენ ახალი ცხოვრების მშენებლობის ყოველ უბანზე.

სამოქალაქო ომისა თუ სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის წარმოებული შეუპოვარი ბრძოლების მატიანე აღსავსეა მათი უმაგალითო გმირობის ნიმუშებით. სწორედ საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი იდეების ერმად დანერგვით ჩვენი პარტია მშრომელთა მილიონიან მასებს წარმატებით რაზმავდა და უნარიანად მიჰყავდა სოციალისტურ მშენებლობაში ახალ-ახალ სახელოვან გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური პოლიტიკის განხორციელებამ, რაშიაც უაღრესად დიდი როლი შეასრულა ხალხის პატრიოტულმა აღფრთოვანებამ, სსრ კავშირი გადააქცია მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყნად, სოციალიზმის უძლეველ ციხე-სიმაგრედ.

სოციალიზმისათვის გაჩაღებულ გრანდიოზულ ბრძოლებში საბჭოთა ხალხმა არა მარტო განაგრძო წარსულის პატრიოტული ტრადიციები, არამედ შექმნა ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელი ახალი ტრადიციები — კომუნიზმის საქმისადმი, სოციალისტური წყობილებისადმი, საბჭოთა სახელმწიფოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარული, შრომისადმი ახალი, სოციალისტური დამოკიდებულება, ქვეყნის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული აღმავლობისადმი შეუნელებელი მისწრაფება, ოქტომბრის დიდი მონაპოვრის — საბჭოთა ხელისუფლების თავგანწირული დაცვა მტრების ყოველგვარი ხელყოფისაგან, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება, ბურჟუაზიული წყობილების წინაშე საბჭოთა წყობილების უპირატესობის შეგნება, ჰუმანიზმი, კომუნიზმის საქმის ნათელი მომავლის დიადი რწმენა. ასეთ მდიდარ პატრიოტულ ტრადიციებზე აღზრდილი ჩვენი ხალხი გახდა მსოფლიო ისტორიის უაღრესად თვალსაჩინო, წამყვანი ძალა, პროგრესული კაცობრიობის გზის მაჩვენებელი ფაქტორი.

მსოფლიოს რეაქციული ძალები ამაოდ ოცნებობდნენ მეორე მსოფლიო ომში სსრ კავშირის დამარცხებაზე. ისინი სუსტად იცნობდნენ ჩვენს ქვეყანას, მის გმირ ხალხს, ადამიანებს, მათს სულიერ განწყობილებას და პატრიოტულ მისწრაფებებს. სწორედ ამიტომ სასტიკად მოტყუვდნენ ანგარიშში. საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში ყველაზე ნათლად გამოვლინდა ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სულიერი სიმტკიცე, მხურვალე პატრიოტული სულისკვეთება. სამშობლოს სიყვარულის დიადი ძალა ფრონტისა და ზურგის მებრძოლებს ახალახალი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებდა.

ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე ჩვენმა დიდმა გამარჯვებამ უჩვეულოდ აამაღლა სოციალისტური სამშობლოს პოლიტიკურ-ეკონომიური ძლიერება და საერთაშორისო ავტორიტეტი.

საბჭოთა პატრიოტიზმი დღითიდღე ძლიერდება და კიდევ უფრო ღრმად იდგამს ფესვებს ადამიანთა შეგნებაში. მისი ურყევი საფუძველია ხალხის ღრმა ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ძმური თანამეგობრობა.

ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს ხალხის ყოველდღიურ საქმიანობაში, მისწრაფებებში, განწყობილებაში. კიდევ უფრო მძლავრი და ეკონომიურად აყვავებული გახადონ თავიანთი სამშობლო — ასეთია სსრ კავშირის მშრომელთა პატრიოტული საზრუნავი. საწარმოებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, ახალმშენებლობათა ხარაჩოებზე თუ სამეცნიერო ლაბორატორიებში თავმდაბალი საბჭოთა ადამიანები დაუღალავი შრომით დღითიდღე ზრდიან სოციალისტური სამშობლოს სიმდიდრეს, დოვლათს, მეცნიერულ დიდებას. მათი პატრიოტული სულისკვეთება მკვეთრად არის გამოვლინებული საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებით, მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის ზრუნვით, სოფლის მეურნეობის უმაგალითო განვითარებით, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის ბრძოლით, მეცნიერების ახალ-ახალი მიღწევების მოპოვებისათვის წარმოებული მუშაობით. სწორედ საბჭოთა ადამიანების პატრიოტული შრომის შედეგად შეუფერხებლად მიდის წინ ჩვენი ქვეყანა, ძლევს ყველა დაბრკოლებას, ზრდის თავის ეკონომიურ ძლიერებას და წარმატებით ახორციელებს სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს.

მხურვალე საბჭოთა პატრიოტიზმი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შთამაგონებელი და აღმაფრთოვანებელი, საბჭოთა საზოგადოებრიობის დიდი მამოძრავებელი ძალაა, კომუნიზმისაკენ ძლევამოსილი წინსვლის ფაქტორია.

როგორც ყოველთვის, ისე ამ წინასაოქტომბრო დღეებში სსრ კავშირის მშრომელთა მთელი აზრები და გრძნობები მიპყრობილია მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, რომელიც უნარიანად წარმართავს მათს ღონისძიებებს კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

— დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ოქტომბრის რევოლუციის ბელადს, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის დიდ შთამაგონებელსა და ორგანიზატორს!

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრისა და მაჯარებელი რაკეტის მოძრაობის შესახებ

31 ოქტომბრის დილის 6 საათისათვის მატარებელმა რაკეტმა 395-ჯერ შემოუარა დედამიწას, ხოლო ხელოვნური თანამგზავრი 1,22 შემოვლით ჩამორჩა. 31 ოქტომბერს საღამოს მატარებელი რაკეტი თანამგზავრის წინ იქნება 12 ათას კილომეტრ მანძილზე, რაც დროის მიხედვით შეესაბამება 26,5 წუთით გასწრებას. მოწმენდილ ამინდში მატარებელ რაკეტზე დაკვირვება შესაძლებელია შეუიარაღებელი თვალით, როცა იგი იმოძრავებს სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ჩრდილოეთი განედის 38 გრადუსიდან 63 გრადუსამდე და როცა იმოძრავებს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ სამხრეთი განედის 26 გრადუსიდან 65 გრადუსამდე. (საკდესი).

სსრ კავშირის მეტეოროლოგიის სამინისტროში

ღორის, ბაჯისა და იხვის ხორცის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირების შესახებ

ამ წლის 1 ნოემბრიდან მცირდება ღორის ხორცის საცალო ფასი საშუალოდ 14-15 პროცენტით და ბატისა და იხვისა — 12,5 პროცენტით. შესაბამისად მცირდება ღორის ხორცისა და ფრინველისაგან გაკეთებული სადილისა და სხვა კერძების ფასები საზოგადოებრივი კვების საწარმოებში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

ენერგიულად და უმაგალითო თავდადებით მუშაობენ თბილისის საწარმოთა მოწინავე ადამიანები საოქტომბრო ზეიმის დღეებისათვის წლიური გეგმების შესასრულებლად. სურათზე: კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მჭედელი ს. ჯარიაშვილი მუშაობს მიმდინარე წლის საწარმოო გეგმით გათვალისწინებული დეტალების უკანასკნელი სერიის დამზადებაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★ ★

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ შეასრულა ათი თვის გეგმა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გააჩაღეს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება და 24 ოქტომბერს შეასრულეს მთლიანი პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა, ხოლო თვის დასლევამდე გეგმის გადამეტებით დაამზადებენ 265 მილიონი მანეთის პროდუქციას. გამოშვებული პროდუქციის საერთო მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდს 130 მილიონი მანეთით აღემატება.

საოქტომბრო შეჯიბრებაში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს საქართველოს მეშახტეებმა, ქუთაისის ავტომობილის, რუსთავის ცემენტის ქარხნების, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის და მთელი რიგი სხვა საწარმოების კოლექტივებმა.

დიდი დღესასწაულის საჩუქრად ათი თვის გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 60.000 ტონა ქვანახშირი, 270 ავტომობილი, 110 ლოთონმჭრელი ჩარხი, 135.000 წყვილი ფეხსაცმელი, 810 ათასი მეტრი ბამბის ქსოვილი, 180 ათასი წყვილი წინდის ნაწარმი. მარტო ფართო მოხმარების საქონელი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ ათი თვის გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 168 მილიონი მანეთისა. (საქდესი).

სამხრეთ ოსეთის საწარმოებმა შეასრულეს ათი თვის გეგმა

სამხრეთ ოსეთის საწარმოთა კოლექტივებმა მნიშვნელოვანი წარმატებებით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მზადება. ოლქის მრეწველობამ ათი თვის გეგმა 102,8 პროცენტით შეასრულა 25 ოქტომბრისათვის. ცალკეულმა საწარმოებმა უკვე გაანაღდეს თავიანთი წლიური გეგმები. მომავალი წლის ანგარიშში იძლევიან პროდუქციას სტალინირის ხე-ტყის კომბინატის, ზნაურის თალკის ქარხნისა და სტალინირის მექანიკური ქარხნის კოლექტივები. (საქდესი).

ახალციხის რაიონმა შეასრულა ბოსტნეულის, ხილისა და მატყლის დამზადების გეგმები

ახალციხის რაიონმა შეასრულა ბოსტნეულის, ხილისა და მატყლის დამზადების წლიური გეგმები. 30 ოქტომბრისათვის ბოსტნეულის დამზადების გეგმა შესრულებულია 100,4 პროცენტით, ხილისა — 100,3 პროცენტით. მატყლის დამზადების წლიური გეგმა 20 ოქტომბრისათვის შესრულებული იყო 100,5 პროცენტით.

რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს წლიური გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 200 ცენტნერი ბოსტნეული და 500 ცენტნერი ხილი. (საქდესი).

ბოლნისის რაიონმა შეასრულა რძისა და კვერცხის დამზადების წლიური გეგმები

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა, რომლებიც დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ეჯიბრებიან სომხეთის სსრ კოტაიქის რაიონის მშრომელებს, ვადამდე შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების შესახებ. 25 ოქტომბრისათვის რძის ჩაბარებისა და სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით, კვერცხისა — 100,1 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება. (საქდესი).

საჩხერის რაიონმა შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმა

საჩხერის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმა. 20 ოქტომბრისათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების წლიური გეგმა შესრულებულია 104,7 პროცენტით, რძისა — 101,5 პროცენტით, კვერცხისა — 104 პროცენტით, მატყლისა — 100,1 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება. (საქდესი).

სურათზე: გამოსაშვებად გამზადებული პარტია საიუბილეო წითელი შამპანურისა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

შრომაში დაწინაურებული

ცხაკაია. (საკ. კორ.). მთის სოფელი ფოცხო ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია, ყველა კოლმეურნე ბეჯითად შრომობენ, რომ ახალი სასახელო წარმატებებით შეხვდნენ დიადი ოქტომბრის მე-40 წლისთავს. განსაკუთრებით წარმატებით იშრომეს კოლმეურნეებმა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსაკრეფად. მარო ესებუამ 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 3.667 კილოგრამი ჩაი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.500 კილოგრამისა. საკოლმეურნეო შრომაში აქტიურად მონაწილეობს მისი შვილი ნათელა, რომელიც დაუსწრებლად იღებს უმაღლეს განათლებას. მან წელს მოკრიფა 1.000 კილოგრამი ჩაი. კარგ შედეგებს მიაღწიეს ჩაის კრეფაში კოლმეურნეებმა ბ. კანკიამ, ლ. პაპასკირმა, ნ. ბერიძემ, ვ. ხარებავამ. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები რეზო და დავით გოგიები, აგროტექნიკოსი ა. გოგია ენერგიული შრომის სანიმუშო მაგალითებს იძლევიან.

ორმოცდაათ-ორმოცდაათი ცენტნერი სიმინდი მიიღეს მოსავლელად მიჩენილ თვითეულ ჰექტარზე კოლმეურნეებმა მ. გოგიამ და კ. მალანიამ. მარცვლეული უხვად მოიყვანეს აგრეთვე ა. მალანიამ, ღ. ქადარიამ, პ. მურღულიამ.

საოქტომბრო საჩუქარი

წითელი, საიუბილეო შამპანური

ეს არც საათადმეფოფა, არც აფთიაქია. მართალია, აქ ყველას ქათქათა ხალათი აცვია და ტილოს თეთრი ქუდი ახურავს, მომსვლელებსაც უხალათოდ ნაბიჯს არ გადაადგმევინებენ, შენობაშიც ისეთი სისუფთავეა, ისე კრიალებს ყველაფერი, რომ უკეთესს ვერ ნახავს კაცის თვალი, მაგრამ ეს მაინც არ არის სანტარული დაწესებულება.

ეს არის თბილისის შამპანურის ქარხანა. ...ვეებერთელა რეზერვუარებიდან შამპანიზებული ღვინო, შუშის მილებით უწყვეტ ნაკადად მოედინება ნახევრადავტომატური ჩამოსასხმელი მანქანებისაკენ. სამჭროს ჭერი საჰაერო კონვეიერების ნამდვილ საკვანძო სადგურს წააგავს, ცარიელი ბოთლების შემადგენლობა მოდის, სავსეებისა მიდის. ხურჯინის თვლებივით დაკიდებული წყვილწყვილი ბოთლები ჰაერში ნელა მიირწევიან, გაფორმებისა და შეფუთვის საამქროსაკენ მიემართებიან ვისაც კი ჰაითურისა და ტუვარჩელის ხაბაგრო გზები, ფოლადის ძარღვებზე მოსრიალე ვაგონეტები უნახავს, მას არ შეიძლება უნებლიეთ არ გაახსენდეს ისინი, როცა აქ მოხვდება.

გაფორმებისა და შეფუთვის საამქროში იწყება სავსე ბოთლების მოკაზმვა. თითქოს პატარძალს რთავენო, ბოთლებს საცობზე ისე ახვევენ ვერცხლის ქაღალდის თავსახურს, წინსაფარივით აკრავენ იარლიყს, მკერდს უმშვენებენ ლამაზად მოხატული ქაღალდით, რომელზეც საქარხნო მარკაა გამოსახული. შემდეგ წმენდენ. ასუფთავებენ, სათუთად ახვევენ და ბურბუშელი-ნ ყუთებში რბილად ჩაწყობილს უგზავნიან მომხმარებლებს.

ამ დღეებში ჩვეულებრივი შამპანურის ბოთლებისაგან განსხვავებით კიდევ უფრო მეტად რთავენ ბოთლების ერთ ნაწილს, რომლებსაც წითელი არტახები აქვს გადაკრული. მათ აწერია: „ოქტომბრის 40 წლისთავი". ეს საიუბილეო შამპანურია. იგი მარტო გარეგნულად კი არ არის განსხვავებული, არა, შიგაც სხვანაირი ღვინო ასხია — წითელი შამპანური. იგი ქართველ შამპანისტთა სადღესასწაულო საწარმოო საჩუქარია დიდი ოქტომბრის ღირსშესანიშნავი თარიღისადმი. ახალი ტიპის წითელი შამპანური შექმნა და წარმოებაში დანერგა ქარხნის ტექნოლოგთა კოლექტივმა. იგი დამზადებულია თელიანის კაბერნეს ჯიშის ვაზის ღვინისაგან.

ახალი ტიპის პროდუქციამ რესპუბლიკურ სადეგუსტაციო შემოწმებაზე საუკეთესო შეფასება დაიმსახურა, მიეკუთვნა მაღალი ხარისხის ღვინოებს.

წითელი შამპანურის გარდა, ქარხნის კოლექტივი სხვა საჩუქრითაც ეგებება ზეიმის დღეებს. მან საერთო პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა 105 პროცენტით გაანაღდა, დავალების გადამეტებით დაამზადა 150 ათასი ბოთლი შამპანური, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდა 3 პროცენტით. ზეგეგმითმა დაგროვებამ 300 ათას მანეთს მიაღწია.

საოქტომბრო შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ღვინომასალების, რეზერვუარული წესით შამპანიზაციის, ლიქიორის და გაფორმებისა და შეფუთვის საამქროთა მუშაკები. ცალკეული მოწინავეებიდან განსაკუთრებით ისახელეს თავი მეკუპაჟე ლეო კობერიძემ, შემხვევმა ელენე ლავსურაშვილმა, ჩამომსხმელმა რაია ლარინამ, მტვირთავებმა იაკობ ხარჩენკომ და ბაგრატ ასაშვილმა. ისინი სადღესასწაულო შრომითს ვახტზე დგანან და დღიურ ნორმებს 140-150 პროცენტით ანაღდებენ.

წითელი, საიუბილეო შამპანური, რომელსაც უკვე მახარებივად უშვებენ, მოსკოვს, კიევს, თბილისსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების მშრომელთა სადღესასწაულო სუფრის მშვენება იქნება.

* * *

სურათზე: გამოსაშვებად გამზადებული პარტია საიუბილეო წითელი შამპანურისა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ДЕЛЕГАЦИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР ПРИБЫЛА В МОСКВУ

Вчера в Москву прибыла делегация Грузинской ССР, которая будет участвовать в торжественном заседании, посвященном 40-летию Великой Октябрьской социалистической революции.

В состав делегации входят: Н. Мгеладзе, Ш. Ниаурадзе, Ш. Ниаурадзе, Ш. Ниаурад

დიდი ოქტომბრის ძლევამოსილი დროშით

★ ★ ★

„აქ ცხოვრობდა ლენინი“ [კინო]

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის / დიადი თარიღისათვის საბჭოთა კინემატოგრაფისტებმა შექმნეს მთელი რიგი დოკუმენტალური და მხატვრული ფილმები. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია მშრომელი კაცობრიობის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი კინოსურათები.

სადღესასწაულო დღეებში ქართველი მაყურებელი ეკრანებზე ნახავს ახალ ფერად დოკუმენტალურ ფილმს „აქ ცხოვრობდა ლენინი“ (დოკუმენტალური ფილმების ცენტრალური სტუდიის ნაწარმოები).

თვითეული ახალი სიტყვა, თვითეული სურათი, პიესა, ფილმი ლენინზე საბჭოთა ადამიანებში ცხოველ ყურადღებას, დაძაბულ ინტერესს იწვევს. ახალი ფილმი მაყურებელს მოუთხრობს იმ ადგილებზე, სადაც ცხოვრობდა, შრომობდა და იბრძოდა დიდი ლენინი. მიუხედავად იმისა, რომ ფილმში თითქმის ვერ ვხედავთ ცოცხალ ვლადიმერ ილიას-ძეს, მისი მშობლიური სახე უხილავად წარმოგვიდგება, როდესაც ჩვენს თვალწინ ჩნდება ნაცნობი პეიზაჟი, ლონდონის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი, თუ სმოლნის თაღები, სადაც ილიჩი მივიდა 1917 წლის ქარიშხლიან დღეებში.

ფილმის ავტორები (სცენარისტი ე. კრიგერი, რეჟისორი ს. ბუბრიკი, ოპერატორი ე. ეფიმოვი) მაყურებელთან ერთად მოგზაურობენ იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობდა ლენინი, თანმიმდევრულად შლიან ჩვენს თვალწინ დიდი ბელადის ცხოვრების ფურცლებს, ხატავენ მის დიად ადამიანურ თვისებებს.

მეტისმეტად სადაა ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ლენინთან. მაყურებელი ხედავს უბრალო ერთსართულიან ხის სახლს სიმბირსკში. აქ გაიარა ვლადია ულიანოვის ყრმობამ. სადად მორთული ოთახები, არაფერი ზედმეტი — მაგიდა, სკამები, უბრალო საწოლები და მრავალი წიგნები...

ამ სახლში, სულიერი სისპეტაკისა და მაღალი იდეების ატმოსფეროში ყალიბდებოდა ყრმა ლენინის ხასიათი. აქ, ამ კედლებში, დედ-მამამ ჩაუნერგა მას ის თვისებები, რომლებიც შემდეგ მუდამ ასე დამახასიათებელი იყო ამ დიადი ადამიანისათვის, — უსაზღვრო თავმდაბლობა, დაუცხრომელი შრომისმოყვარეობა.

ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან ეპიზოდები, რომლებიც ასახავენ დიადი ცხოვრების ფურცლებს. ჩვენ ვხედავთ ადგილებს, რომლებიც მოგვაგონებენ ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებას, ოთახებს, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა იგი. ...ყაზანის უნივერსიტეტი, სადაც შეგროვილან სტუდენტები პოლიციური რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად; სოფელი კოკუშკინო, სადაც გადაასახლეს პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ სტუდენტთა შეკრების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე ვლადიმერ ულიანოვი.

კადრი ფილმიდან „აქ ცხოვრობდა ლენინი“.

პეტერბურგი — რუსეთის თვითმპყრობელობის დასაყრდენი. აქ შექმნა ლენინმა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“— პირველი მარქსისტული ორგანიზაცია რუსეთში. ვლადიმერ ილიას-ძე ეწევა დიდ ორგანიზატორულ მუშაობას პარტიის შესაქმნელად, აკავშირებს რა მეცნიერულ სოციალიზმს მუშათა სტიქიურ მოძრაობასთან.

შუშენსკოე, — ტაიგაში გადაკარგული პატარა სოფელი. აქ დაასახლა მეფის ხელისუფლებამ ლენინი, ცდილობდა რა რევოლუციური საქმიანობისათვის მოეწყვიტა იგი, მაგრამ ამაოდ. გადასახლებაში ლენინი ენერგიულ მუშაობას ეწევა. აქ დაწერა გენიალური შრომა „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, შეიმუშავა სრულიად რუსეთის მარქსისტული გაზეთის „ისკრას“ შექმნის გეგმა...

...რაზლივი. ღრმა იატაკქვეშეთიდან ხელმძღვანელობდა ლენინი შეიარაღებული აჯანყების მომზადებას. ეკრანზეა პატარა ჩალის ქოხი და ლენინის „მწვანე კაბინეტი“ — ორი ჯრიკი დაბურული ფოთლნარის ჩრდილში.

მაყურებელი ეკრანზე ხედავს იმ ქარიშხლიან ეპოქის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. აი გაისმა „ავრორას“ ისტორიული ზალპი, ქარი აფრიალებს ალისფერ ტილოს — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“

ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს პირველი დეკრეტები ზავის, მიწის შესახებ...

დაუღალავად შრომობს ვ. ი. ლენინი ახალი სოციალისტური სახელმწიფოს განსამტკიცებლად, შეუპოვრად ებრძვის შინაგანი და გარეშე კონტრრევოლუციურ შემოტევას.

აი ვლადიმერ ილიას-ძის პატარა კაბინეტი კრემლში, სადაც გიგანტურ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა.

გულწრფელი მღელვარებით ხედავს მაყურებელი თოვლით დაფარულ პარკს გორკაში, სახლს, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა მშრომელთა უსაყვარლესმა ბელადმა.

უდიდესი მღელვარებით უმზერს მაყურებელი იმ კადრებს, რომლებზეც აღბეჭდილია ცოცხალი ლენინი. აი ვლადიმერ ილიას-ძე კომინტერნის კონგრესის ტრიბუნაზე, წითელ მოედანზე ხალხში, თავის სამუშაო კაბინეტში — რა დაუფასებელი კინო-დოკუმენტებია და რა დასანანია, რომ ასე მცირე რაოდენობით მოაღწიეს მათ ჩვენამდე.

ფილმში ჩართულია ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მოღვაწეების გ. მ. კრჟიჟანოვსკის, ვ. ა. კარპინსკის, ვ. ი. ლენინის მდივნის ლ. ა. ფოტიევას, ნ. ა. ემელიანოვის, პ. დ. მალკოვის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის უხუცესი მოღვაწეების მარსელ კაშენისა და ვაცლავ ვაცეკის მოგონებანი ვ. ი. ლენინზე, რომელთაც ისინი პირადად მოუთხრობენ მაყურებლებს.

ფილმში გამოყენებულია კადრები გადაღებული ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის ოპერატორების მიერ, ისტორიული ფოტოდოკუმენტები, მხატვრული სურათები.

ახალი ფილმი ჩვენი დროის ყველაზე დიდ ადამიანზე, რომლის იდეებს კაცობრიობა თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ მიჰყავთ, დაუფასებელი სადღესასწაულო საჩუქარია მშრომელებისათვის.

ე. დავითაშვილი.

★

დიადი თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოეწყო წიგნის დიდი გამოფენა. ოთხ სტენდზე წარმოდგენილია მასალები, ფოტოსურათები, წიგნები, მხატვრული ილუსტრაციები, დიაგრამები, რომლებიც დამთვალიერებლებს მოუთხრობენ ჩვენი სახელმწიფოს განვითარებაზე.

გამოფენის პირველი განყოფილება — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება“ იხსნება ფოტოსურათით „ვ. ი. ლენინის ჩამოსვლა რუსეთში“. აქვეა წარმოდგენილი დიდი ლენინის შრომები „წერილები შორიდან“, „მარქსიზმი და აჯანყება“, „ორხელისუფლებიანობის შესახებ“, ი. ბ. სტალინის — „ოქტომბრის გადატრიალება“ და სხვ. მეორე განყოფილებაში წარმოდგენილი მასალები ასახავენ ინდუსტრიალიზაციის განვითარებას სსრ კავშირში.

„საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა“— ასეთი სათაურით იხსნება გამოფენის მომდევნო განყოფილება, აქ მრავლად არის ექსპონირებული მასალები სოფლის მეურნეობის შესახებ. საინტერესო ექსპონატებია განყოფილებებში — „ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება“, „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში“, „საბჭოთა კავშირი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლაში“ და „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა“.

გამოფენას ინტერესით ეცნობიან ბიბლიოთეკის მკითხველები.

მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

ამ დღეებში დაბა წნორში საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა მოაწყო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი გამსვლელი სამეცნიერო სესია.

სესიამ მოისმინა შემდეგი მოხსენებები: საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ხოხლოვისა — „საქართველოს მტს-ების როლი მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დანერგვის საქმეში“, ს. ვაჩეიშვილისა — „მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტის წლიური განუწყვეტელი გრაფიკით გატარების ორგანიზაცია საქართველოს რესპუბლიკის პირობებში“, ნ. ოქროპირიძისა — „მეცხოველეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის თავისებურება კახეთის ზონის პირობებში“, გ. შხვაცაბაიისა — „სიმინდის თესლის გაწმენდა-დაყალიბება მანქანაში ერთი გატარებით“, ნ. ყოჩიაშვილისა — „საკოლმეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის გადაუდებელი ამოცანები“, მ. გუგუშვილისა — „თამბაქოს მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის საკითხები“, გ. ვაშაძისა — „ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის მიღწევები მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების საქმეში“, ი. ქურდიანისა — „კახეთის ელექტრომომარაგების პერსპექტივები“, დ. მაღალაშვილისა—„სოფლის მეურნეობის წარმოების ელექტროფიკაციის გამოცდილება თელავის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებში“.

სამეცნიერო სესიაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებისა და სამინისტროების წარმომადგენლებმა, ცხრა რაიონის აქტივისა და 23 მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორებმა, მთავარმა ინჟინრებმა, სატრაქტორო პარკის სახელოსნოების გამგეებმა, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებმა, ტრაქტორისტებმა, მეცხოველეობის მექანიზატორებმა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა.

★

გაზეთების ფურცლებზე

1. ნათელი შუქი

კისორეთი ტყიბულის რაიონის მაღალმთიანი სოფელია. ოქტომბრის რევოლუციამდე აქ არ იყო სკოლა, მაღაზია, რაიმე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, ყველა ოჯახში უმეცრება და სიღარიბე იყო დამკვიდრებული. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განვლილ წლებში უდიდესი ცვლილებები მოხდა კისორეთის მშრომელთა ცხოვრებაში. ამ ცვლილებებსა და მიღწევებს ტყიბულის რაიონულმა გაზეთმა **„ტყიბულის მაღაროელმა“** დაუთმო სპეციალური გვერდი საერთო სათაურით „ეს მოგვცა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ“. გაზეთში დაბეჭდილია კოლმეურნეობის თავმჯდომარის ა. არსენიძის, პარტიული ორგანიზაციის მდივნის ჟ. ერაძის, ბრიგადირ ა. ცირეკიძის, მწველავ ო. ხერხაძის, მოწინავე მეჩაიე ო. ერაძის და სხვათა წერილები სოფლის მშრომელთა შეძლებულ ცხოვრებაზე, მათს თავდადებულ შრომაზე ოქტომბრის დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის. მასალებში ნათქვამია, რომ ახლა სოფელში არის დაწყებითი სკოლა, კლუბი, სამკითხველო, საექიმო პუნქტი, მაღაზია და ა. შ. კისორეთელი მშრომელები შეძლებულად და ბედნიერად ცხოვრობენ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. არსენიძე წერილში „აღმავლობის გზაზე“ აღნიშნავს, რომ წელს მათ გადაჭარბებით შეასრულეს წველადობის, პირუტყვის, შინაური ფრინველის სულადობის ზრდის წლიური გეგმა, ხილის ჩაბარების და ყურძნის მოსავლიანობის გეგმები.

2. ალმავლობის გზით

— ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავს ცხმორისელი მშრომელები ახალი წარმატებებით ეგებებიან,—წერს ქედის რაიონული გაზეთი **„კოლმეურნის ხმა“**. — აი აღმავლობის, წინსვლისა და ბედნიერი ცხოვრების დამახასიათებელი ზოგიერთი ფაქტი. ცხმორისის სასოფლო საბჭოს სოფლებში გახსნილია 1 საშუალო, 2 შვიდწლიანი და 3 დაწყებითი სკოლა, რომლებშიც 600-მდე მოსწავლეა. მათს სწავლა-აღზრდის საქმეში ჩაბმულია 47 მასწავლებელი. მუშაობს 1 სასოფლო კლუბი და 5 ბიბლიოთეკა, რომლებშიც 7.500 წიგნია. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 1 სტაციონარული საავადმყოფო, 1 აფთიაქი, 1 საფერშლო-სამეანო პუნქტი, 2 ექიმი, 1 ფარმაცევტი, 6 ექთანი.

აღმავლობის გზით მიდის სოფლის მეურნეობა, წარმატებით ვითარდება მევენახეობა, მეხილეობა, მეთამბაქოობა, მეცხოველეობა.

ცხმორისის მშრომელთა წარმატებებზე, საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ მათს თავდადებულ შრომაზე მკითხველებს მოუთხრობენ ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. მახარაძე, სასოფლო-ბიბლიოთეკის გამგე ა. ანანიძე, უბნის აგრონომი ა. ბერიძე, საშუალო სკოლის დირექტორი ო. ჯაყელი, რომელთა წერილები დაბეჭდილია გაზეთ „კოლმეურნის ხმის“ ფურცლებზე.

გორული ვაშლის ბარაქა

593 ჰექტარზეა გადაჭიმული გორის რაიონის სოფელ ვარიანის ი. ბ. სტალინის სახელობის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ვაშლის ბაღები. კარგი მოვლით წელს ბარაქიანი მოსავალი მოიყვანეს, მოკრიფეს 6.350 ტონაზე მეტი ვაშლი გეგმით გათვალისწინებული 3.350 ტონის ნაცვლად.

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მეორე და მეოთხე აგროუბნები. მეორე აგროუბანმა სახელმწიფოს ჩააბარა 1.200-ზე მეტი ტონა კარგი ხარისხის ვაშლი გეგმით გათვალისწინებული 616 ტონის ნაცვლად. ბრიგადამ, რომელსაც აგრონომ-ექნიკოსი შ. ბატატაშვილი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე მოკრიფა 125 ცენტნერი ვაშლი, გეგმა კი 60 ცენტნერს ითვალისწინებდა.

მეოთხე აგროუბანში უკვე მიიღეს 1.300 ტონა ვაშლი, გეგმით ნავარაუდევი იყო 661 ტონის დამზადება. ჰექტარზე აქ იღებენ 120 ცენტნერ მოსავალს. კარგად მუშაობენ ამ აგროუბნის მუშები მ. არაბაშვილი, ა. არაბაშვილი, ყ. მაზმიშვილი, მ. ქოშორიძე, მ. მანიუსოვიჩი, ი. ბაგაევი.

• • •

სურათზე: წინა რიგზეა მაყვალა ქოშორიძე (მარცხნივ) და მარიამ მანიუსოვიჩი.

ფოტო შ. გოჭაძისა.

დიდი ლენინის ანდერძი ცხოვრებაში ხორციელდება

საქართველო დაიფარა სარწყავ სისტემათა ფართო ქსელით

საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატის ყველა ტიპია წარმოდგენილი, დაწყებული სუბტროპიკულით და დამთავრებული მშრალით და მკვეთრი ცივით — მაღალმთიან რაიონებში.

კლიმატის ასეთი მრავალფეროვნება გამოწვეულია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებით. მთავარი კავკასიონის ქედის მაღალი ბარიერი რესპუბლიკას იცავს ჩრდილოეთის ცივი საჰაერო მასების შემოჭრისაგან, ღია ტერიტორია შავი ზღვის მხრიდან კი — ხელს უწყობს თბილი დინების შემოსვლას.

ამის გამო საქართველო ორ ძირითად ნაწილად იყოფა: დასავლეთის მხარე — ნესტიანი სუბტროპიკული კლიმატით და აღმოსავლეთის — მშრალი კონტინენტალური კლიმატით.

დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი ნალექები (1.000 მმ-დან 2.500-მდე წელიწადში), აღმოსავლეთისათვის კი პირიქით — ნალექების სიმცირე (400 მმ—800 მმ). ეს გარემოება სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებს წყლის ფაქტორს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. თუ აღმოსავლეთ საქართველოს მიწათმოქმედების განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ხელოვნური რწყვა, დასავლეთ საქართველოს მიწები, პირიქით, დასაშრობ ღონისძიებათა განხორციელებას საჭიროებენ. ნალექების დიდი რაოდენობა და რელიეფის თავისებურება ქმნის დაჭაობების შესაძლებლობას, განსაკუთრებით შავი ზღვისპირა რაიონებში.

ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს ზოგიერთი რაიონი (წულუკიძის, ქუთაისის და სხვ.), რომელთა ფართობები გარკვეულ პერიოდში მოითხოვენ ხელოვნურ მორწყვას. ამ რაიონებში წლიური ნალექების განაწილება თვეების მიხედვით არათანაბარია, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ვეგეტაციის პერიოდში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში ირწყვებოდა მხოლოდ 95 ათასი ჰექტარი ფართობი, ისიც პრიმიტიული, წვრილი არხების საშუალებით. მაგრამ დიდი ნაწილი ნაყოფიერი მიწებისა მოურწყავი იყო და ზაფხულის ცხელი დღეები ანადგურებდა ნათესს.

ამ მდგომარეობას საბჭოთა სახელმწიფომ თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. შეუდგა საირიგაციო სისტემების მშენებლობას. ვ. ი. ლენინი 1921 წელს წერდა:

„მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“.

ვ. ი. ლენინის მითითების საფუძველზე დაიწყო საქართველოში სამელიორაციო მშენებლობანი. 1921 წლიდან 1940 წლამდე საქართველოში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ისეთი საინჟინრო სარწყავი სისტემები, როგორიც არის ალაზნის, ტირიფონის, მაშველის, პირველი საბჭოთა, დიღმის და სოღანლუღის სატუმბავი სადგურები და ამასთან ერთად სხვა მრავალი წვრილი არხი.

1941 წელს სარწყავმა ფართობმა საქართველოში 241 ათას ჰექტარს მიაღწია. დიდი სამამულო ომის დაწყებამ დროებით შეაჩერა ხამშენებლო სამუშაოები. ომისშემდგომ პერიოდში კვლავ გაჩაღდა ეს სამუშაოები. აშენდა სალთვისის, დოესი-გრაკლის, სკრა-ქარელის, თეზი-ოკამის, მუხრანის სარწყავი სისტემები —ცენტრალური ქართლის მიწების, კეხვის და ვანათის — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობათა ფართობების, აჯამეთის — იმერეთის რაიონების ფართობების მოსარწყავად. გარდა ამისა, აშენდა მრავალი წვრილი არხი, საქაჩავი სადგური მესხეთის და ჯავახეთის რაიონებში. ამჟამად საქართველოში სარწყავი მიწების ფონდი გაზრდილია 320 ათას ჰექტარამდე.

ჩვენი რესპუბლიკის აღმავალი სოფლის მეურნეობა ახალ ამოცანებს აყენებს წყალთა მეურნეობის მუშაკების წინაშე. მიმდინარე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს ზედა სამგორის და ტაშისკარის დიდი სარწყავი სისტემების მშენებლობა.

სამგორის მიწების მორწყვის პრობლემა ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება იყო. მისი განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ. ამჟამად მშენებლობის პროცესში მყოფი ზედა სამგორის სარწყავი სისტემა წყალს მიაწვდის ქ. თბილისის გარშემო მდებარე 40,8 ათას ჰექტარ ნახევრად უდაბურ ფართობებს.

ტექნიკური გადაწყვეტის მხრივ ეს სისტემა ყველაზე რთული საინჟინრო ნაგებობაა რესპუბლიკაში. მდინარე იორის წლიური ჩამონადენის რეგულაციისათვის საჭირო შეიქმნა ორი წყალსაცავის აშენება: თბილისის — 308 მილ. კბმ მოცულობით, სიონის —325 მილ. კბმ მოცულობით.

რთული ტოპოგრაფიული და გეოლოგიური პირობების გამო მაგისტრალური არხები და განმანაწილებლები, რომელთა საერთო სიგრძე 950 კილომეტრს აღემატება, ძირითადად ბეტონის სამოსით არის მოპირკეთებული, ნაწილობრივ კი ასბოცემენტის მილებისაგან კეთდება.

მაგისტრალურ არხებზე გვირაბებისა და გალერიების სიგრძე 10,8 კილომეტრს შეადგენს; აკვედუკების, დიუკერების და სხვა ნაგებობისა კი — 5 კილომეტრს.

ამჟამად ძირითად ნაგებობათა მშენებლობა დამთავრებულია და დაახლოებით 18 ათას ჰექტარზე მომზადებულია სარწყავი ქსელი. ზედა მაგისტრალურ არხზე აშენებულია 3 ჰიდროელსადგური, რომლებიც ენერგიას აძლევენ საქართველოს მრეწველობას.

მეექვსე ხუთწლედში მთლიანად დამთავრდება ზედა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა სიონის წყალსაცავით. შემდეგ დაიწყება ქვედა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის განხორციელება. ამის შედეგად მოირწყვება საგარეჯოს, კაჭრეთის და სიღნაღის რაიონების 50 ათასი ჰექტარი ნაყოფიერი მიწა.

მშენებლობის პროცესში მყოფი ტაშისკარის სარწყავი სისტემა, რომლის სათავე შენდება მდინარე მტკვარზე ახალდაბის მახლობლად, გაასარწყავებს ხაშურისა და ქარელის რაიონების კოლმეურნეობათა 12 ათას ჰექტარ მიწას; შემდგომში კი დამატებით მიაწოდებს წყალს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და სხვა რაიონების 10 ათას ჰექტარს. დღეისათვის ძირითადი ნაგებობის მშენებლობა დამთავრებულია და 5 ათასი ჰექტარი უკვე ირწყვება. 1958 წელს ტაშისკარის სისტემა მთლიანად იქნება დამთავრებული.

ამ ობიექტებს გარდა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში შენდება მრავალი წვრილი არხი და სატუმბავი სადგური. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მაღალმთიან რაიონებს. მაგალითად, ახალქალაქის რაიონში წელს დამთავრდება 6 სატუმბავი სადგურის მშენებლობა, რომლებიც 1.000 ჰექტარამდე ფართობს მორწყავენ. ასეთი მშენებლობები მიმდინარეობს აგრეთვე ბოგდანოვკის, წალკის, ადიგენის, დმანისის რაიონებში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდი ღონისძიებები განხორციელდა დაჭაობებული ფართობების დასაშრობად. მარტო დასავლეთ საქართველოში, ძირითადად ჭოლხიდის ზონაში დამშრობი ქსელი გაკეთდა 83 ათას ჰექტარზე. მანამდე გამოუყენებელი მიწები, რომლებიც მალარიის და სხვა დაავადებათა კერად ითვლებოდა, ამჟამად დაფარულია ახლად ჩამოყალიბებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სუბტროპიკული კულტურების პლანტაციებით და სხვა ძვირფასი კულტურებით.

დაშრობილი მიწების მთლიანი ფართობი სულ საქართველოში 1956 წლისათვის 101 ათას ჰექტარს შეადგენდა.

ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს ნაპირსამაგრ ღონისძიებებზე, რათა წყლისაგან დაცულ იქნას ნათესები და დასახლებული ადგილები. დაწყებულია საინჟინრო ხასიათის ნაგებობათა მშენებლობა მდინარეებზე — ცხენისწყალზე და ჭოროხზე. ამ მშენებლობების საერთო ღირებულება 40 მილიონ მანეთს აღემატება.

ფართოდ ინერგება ქარხნული წესით დამზადებული ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციების და დეტალების გამოყენება, რაც მნიშვნელოვნად აჩქარებს მშენებლობის პროცესს.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე დასმული დიდი ამოცანები განსაზღვრავენ წყალთა მეურნეობის მუშაკთა ამოცანებსაც, რადგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა მჭიდროდ არის დაკავშირებული მორწყვასთან, წყლის რესურსების სწორად გამოყენებასთან. ამას კარგად ითვალისწინებს წყალთა მეურნეობის კოლექტივი და ენერგიულად მუშაობს იმისათვის, რომ საექსპლოატაციოდ გადასცეს ახალი გასარწყავებული 8.900, დაშრობილი — 2.000 ჰექტარი ფართობი და ახალი წარმატებებით შეხვდეს დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს.



ზ. ჭოგულია,
საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე.

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის საღამო

28 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის საღამო, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი. საღამო მოაწყო საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომმა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის კალინინის რაიკომის მდივანმა ამხ. ო. ნემსაძემ. მან ილაპარაკა იმაზე, რომ საქართველოს დედაქალაქის მშრომელნი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უდიდესი სიხარულის გრძნობით ეგებებიან დიდი ოქტომბრის სახელოვან მე-40 წლისთავს, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ლენინური მეგობრობა.

მოხსენება „ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა ოქტომბრის რევოლუციის დიადი მონაპოვარია“ გააკეთა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. იმედაძემ. მან ილაპარაკა აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის ისტორიულ ფესვებზე, მათს ერთობლივ რევოლუციურ ბრძოლაზე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, იმ წარმატებებზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, რომლებიც ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელებმა მოიპოვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ძმური დახმარებით.

მისალმების გულთბილი სიტყვებით სომხეთისა და აზერბაიჯანის მშრომელებს მიმართეს სომხურ ენაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ი. აბულაძემ და აზერბაიჯანულ ენაზე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ჯანგიძემ.

საღამოზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. თოიძე, საქართველოს რადიოს აზერბაიჯანულ გადაცემათა რედაქტორი კ. ქიარიმოვი, რომლებმაც ილაპარაკეს ამიერკავკასიის ხალხთა უძველეს კულტურულ ურთიერთობაზე, მათს წვლილზე საბჭოთა კულტურის საგანძურში.

პოეტმა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა წაიკითხა სსრ კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობისადმი მიძღვნილი თავისი ლექსი.

საღამოს მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ სომხეთის დედაქალაქის მშრომელთა დელეგაციის ხელმძღვანელის პარტიის ქალაქ ერევნის კიროვის რაიკომის მდივნის ვ. შახბაზიანის გამოსვლას.

დამსწრენი ტაშით შეხვიონენ ცნობას იმის შესახებ, რომ ერევანში შენდება ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი მაგისტრალი, რომელსაც დაერქმევა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, ხალხთა მეგობრობის მგზნებარე მომღერლის აკაკი წერეთლის სახელი.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი. შესრულებულ იქნა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ხალხური სიმღერები და ცეკვები, სამი მოძმე რესპუბლიკის დრამატურგთა, პოეტთა და კომპოზიტორთა ნაწარმოებნი.

(საქდესი).

ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობა

სამტრედია. (საკ. კორ.). საქალაქო საბჭომ წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა რაიონის ცენტრის კეთილმოსაწყობად. დაიგო 37 ათასი კვადრატული მეტრი ასფალტი, ქალაქის მწვანე სამოსელს შეემატა 4.000 მარადმწვანე და 3.000 დეკორაციული მცენარე. მოეწყო სკვერები და გაზონები.

ამას წინათ გაიმართა საქალაქო საბჭოს მორიგი სესია, რომელმაც განიხილა საკითხი ქალაქის კეთილმოწყობის შესახებ. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე რკინიგზის კვანძისა და ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებმაც შეფობა აიღეს ცალკეული ქუჩების კეთილმოსაწყობად. რაიონის ადგილობრივი მეურნეობის კოლექტივმა იკისრა საკუთარი საშუალებებით მოაასფალტოს კეცხოველის ქუჩა, ამასთან ქუჩის ორივე მხარეზე გააკეთოს რკინის ღობეები. ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების საწარმოთა კოლექტივებმა იკისრეს სრულ წესრიგზე მოიყვანონ ძნელაძის ქუჩა სადგურ სამტრედიიდან სალიანდაგო დისტანციის სახელოსნომდე, გზის ორივე მხარეს მოაწყონ ელექტროგანათება და დარგონ მცენარეები.

სამტრედიელთა თაოსნობა მისაბაძია. საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვალია სათავეში ჩაუდგეს საწარმოო კოლექტივების ამ წამოწყებას.

დავაჩქაროთ საბინაო-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობა

ჭიათურელმა მშენებლებმა წლის დასაწყისშივე იკისრეს წელს საექსპლოატაციოდ გადასცენ 10.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ეს ვალდებულება არადამაკმაყოფილებლად სრულდება. განსაკუთრებით ჭიანურდება საბინაო-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობა. ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ჭიათურის სამშენებლო სამმართველომ ლენინის სახელობის მაღაროში მომუშავეთათვის წელს ააშენა რვაბინიანი საცხოვრებელი სახლი და ერთი საერთო საცხოვრებელი სახლი 157 მუშისათვის. მაღაროელები უკვე შესახლდნენ ახალ ბინებში, მაგრამ... სულ ორი კვირაა, რაც სახლები საექსპლოატაციოდ გადაეცა, და ბინებში უკვე წყალი ჩამოდის.

მშენებლები დიდ ვალში არიან მაღაროელებთან. მრავალი წლის განმავლობაში არ შესრულებულა ჭიათურაში ბინათმშენებლობის დავალება, გამოყოფილი თანხები აუთვისებელი რჩებოდა. მშენებლობის გაძლიერების მიზნით წელს აქ შეიქმნა ბინათმშენებლობის სამმართველო. წელს ამ სამმართველოს კოლექტივს ჯერჯერობით საექსპლოატაციოდ არცერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი არ ჩაუბარებია.

არანაკლებ ჭიანურდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა. საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს დავასახელებთ. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივისთვის ჯერ კიდევ 1952 წელს დაიწყეს მუშათა კლუბის მშენებლობა. 1953 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებაში გარკვევით იყო გათვალისწინებული ამ კლუბის მშენებლობის დამთავრება. მაგრამ მას შემდეგ წლები გავიდა, მაღაროელებს კი კლუბი ჯერაც არა აქვთ.

ჭიათურაში საბინაო-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობას ისიც აფერხებს, რომ საშენ მასალებს (საკედლე ბლოკები, აგური და ა. შ.) რუსთავიდან ეზიდებიან. ეს მშენებლობის გაჭიანურება-გაძვირებას იწვევს. ამიტომ ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ გადაწყდა „ჭიათურმშენს“ აეშენებინა სილიკატური აგურის ქარხანა. მშენებლობისათვის 10.946.000 მანეთი იყო გათვალისწინებული. იგი 1955 წლისათვის უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ ქარხანას საფუძველი ჩაუყარეს და 2.233.000 მანეთი აითვისეს თუ არა, მშენებლობა მაშინვე მიატოვეს.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტმა და პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი ჭიათურელი მშენებლებისადმი.

პ. ჭიოკაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გრიგოლ რიმნისთაველის შემოქმედებითი საღამო

რუსთავი. (საკ. კორ.). ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკს გ. რიმნისთაველს წელს შეუსრულდა თეატრალური მოღვაწეობის 35 წლისთავი. იგი მოღვაწეობდა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონულ თეატრებში, ხოლო 1948 წლიდან ხელმძღვანელობს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან არსებულ ქართულ დრამატულ კოლექტივს. რიმნისთაველის ხელმძღვანელობით მეტალურგთა თვითმოქმედმა კოლექტივმა დადგა ს. მთვარაძის „სახსოვარი“, ე. ნინოშვილის „ქრისტინე“, შ. დადიანის „გეგეჭკორი“ და რამდენიმე სკეტჩი, რომლებშიც წამყვან როლებს რიმნისთაველი ასრულებდა.

ამას წინათ მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირის კომიტეტისა და ამავე ქარხნის კულტურის სასახლის გამგეობის თაოსნობით მოეწყო გ. რიმნისთაველის თეატრალური მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რუსთავის საქალაქო საბჭოს კულტურის განყოფილების გამგემ ვ. რეხვიაშვილმა.

გ. რიმნისთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა კულტურის სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელმა კ. სულაკაურმა. იუბილარს მისასალმებელი სიტყვებითა და ლექსებით მიმართეს დრამატული კოლექტივის წევრებმა ტ. ქარაზანიშვილმა, გ. ანტოპოლმა, ინჟინერმა შ. საყვარელიძემ და სხვებმა.

დასასრულ გ. რიმნისთაველის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა რამდენიმე მოქმედება მის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან.

საქართველოს პირველი საფეიქრო ფაბრიკა

— „გაუმარჯოს ქუთაისის ახალ ფაბრიკას და მის მომავალ საქმიანობას!“.

ამ სიტყვებით ბოლოვდება ქუთაისის გაზეთ „მუშა და გლეხში“ ამ 33 წლის წინათ — 1924 წლის 12 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი მოწინავე წერილი, რომელიც ქუთაისის მაუდის ფაბრიკას გახსნასა და ამუშავებას მიეძღვნა.

კომუნისტური პარტიის ნებით, ლენინის ნებით ამიერკავკასიის რესპუბლიკებში გაჩნდნენ ახალი საწარმოები, რომლებიც დიდმა რუსმა ხალხმა, მისმა გმირმა მუშათა კლასმა გამოუგზავნა საჩუქრად ამ რესპუბლიკების მშრომელთ.

— რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება ერთ თავის ფაბრიკას გვაძლევს, რომელსაც ვდგამთ ქუთაისში, — ამბობდა სერგო ორჯონიკიძე 1922 წელს.

— საქართველომ ერთი ფაბრიკა წაიღო მოსკოვიდან, და იგი, ალბათ, ახლო მომავალში ამუშავდება,—ამბობდა ი. ბ. სტალინი პარტიის XII ყრილობის ტრიბუნიდან 1923 წელს.

ქუთაისში მაუდის საქსოვი ფაბრიკის ამუშავებით დიდი საფუძველი ამ მიყრუებული, ვაჭრულ-ხელოსნური და თავადაზნაურული პროვინციული ქალაქის ინდუსტრიულ აუვავებას, საქართველოში საფეიქრო მრეწველობის განვითარებას. მაშინ ქუთაისში 62 წერილი, კუსტარული სახელოსნო იყო 311 მუშით, ხოლო მთელი ამ „მრეწველობის“ საერთო პროდუქცია რამდენიმე ათას მანეთს შეადგენდა.

ახლა ქუთაისის მრეწველობა, რომელშიც ათეული ათასობით მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსია დასაქმებული, წლიურად მილიარდ მანეთისაზე მეტ პროდუქციას იძლევა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენი პირველი საფეიქრო ფაბრიკის ისტორიას.

ამ დროისათვის, როცა ქართველმა ხალხმა დიდი რუსი ხალხის ეს ძმური საჩუქარი მიიღო, ჩვენს რესპუბლიკას არ გააჩნდა საფეიქრო მრეწველობის არც ერთი საწარმო, არ ჰყავდა ფეიქართა კადრები — მექანიკოსები, ოსტატები. ამ მხრივაც ქართველებს პირველი დახმარება რუსეთიდან მოუვიდათ. ჩამოვიდნენ გამოცდილი ფეიქარი სპეციალისტები, რომლებმაც ფაბრიკის დანადგარებიც გამართეს და ადგილობრივი კადრებიც მოგვიმზადეს.

ფაბრიკის „საპატიო დაფაზე“ მოთავსებულია ძველი მუშა-ვეტერანების პორტრეტები; მათ შორის არის რუსი მექანიკოსის ივანე ივანეს-ძე ანანინის პორტრეტი.

ახლა „ჩვენი ივან ივანიჩი“ 88 წლისაა და, ცხადია, ფაბრიკაში აღარ მუშაობს, პენსიონერია. მესამედი საუკუნის წინათ კი მან და მის მხარდამხარ მომუშავეებმა ლადო თევდორაძეს და თომა კუჭავამ ააწყეს და დაამონტაჟეს რუსეთიდან გამოგზავნილი მანქანები, შემდეგ კი ფაბრიკის კადრის მუშები გახდნენ და წლების მანძილზე ერთად მუშაობდნენ.

ქუთაისში ახლაც საყოველთაო პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობენ მაუდის ქსოვის ვეტერანები — ქსოვის ინსტრუქტორი ნიკოლოზ ზავადსკი, მხვეველი ვერა ჭეიშვილი, ქვეოსტატები ბ. ნამჩევაძე, ხ. ქორიძე, ოსტატები ტ. გვარამაძე, ვ. იმედაძე, ზ. გაბადაძე, საქსოვი საამქროს უფროსი ი. ქილარჯიანი, ამავე საამქროს მქსოველი ზ. ნაზარეტკო, მზა ნაწარმის წუნდებელი ლ. ფიდელი.

მადლიერმა კოლექტივმა შარშან ამ უხუცეს მუშა ფეიქრებს იუბილე გადაუხადა.

განვლილი 33 წელი ფაბრიკის, მისი კოლექტივის ზრდისა და დავაჟკაცების პერიოდი იყო.

გახსნისა და ამუშავების პირველი ორი წლის განმავლობაში ფაბრიკა ყოველწლიურად 24 ათას მეტრ მაუდს ქსოვდა. უკვე 1927 წელს ამ ციფრმა 104 ათასს გადაამეტა. ომამდელ 1940 წელს ფაბრიკამ 430.000 მეტრი მაუდი გამოუშვა. გასულ 1956 წელს ამ ფაბრიკის კოლექტივმა ქვეყანას უკვე 917.000 მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი მისცა, ხოლო 1960 წელს 1 მილიონზე მეტი მეტრი ქსოვილი უნდა მისცეს.

ფაბრიკის პირველნდელი სიმძლავრე 6 საქსოვ დაზგას, 2 საჩეჩ და 2 სართავ მანქანას შეადგენდა. ახლა ფაბრიკაში 67 საქსოვი დაზგა, 9 საჩეჩი და 8 სართავი მანქანაა გამართული. აქვთ აგრეთვე უახლესი სამღებრო ბაბარატურა, მატყლის საკრეჭი, სათელავი და ქსოვილების გამომყვანი მანქანები, რითაც შრომის ნაყოფიერება წინანდელთან შედარებით ოთხჯერ გაიზარდა.

* * *

წულუკიძისა და ივანოვ-მარდალეიშვილის ქუჩების კუთხეში — იქ, სადაც ახლა მაუდის ფაბრიკის კორპუსებია, ძველათ ქუთაისის საგუბერნოო საინტენდანტო ყაზარმები იყო. ძველისაგან აქ თითქმის აღარაფერი დარჩენილა. მაუდის ფაბრიკის მხარდამხარ, ერთიმეორის მიყოლებით აღმოცენდნენ მანქანათმშენებელი, საკონსერვო, შუშის ტარის, რძის, ლუდის, პურის ქარხნები, სამკერვალო და საავეჯო ფაბრიკების კორპუსები.

ეს ქალაქის ერთ უბანში... ისე კი გრძელი სია ქუთაისის საწარმოებისა, რომლებიც, ავტომანქანით დაწყებული და კონფეტებით გათავებული, 400-ზე მეტი სახელწოდების პროდუქციას უშვებენ, ამით არ ამოიწურება.

მაგრამ, როგორც არ უნდა გაიზარდოს ქუთაისი, როგორც არ უნდა განვითარდეს მისი მრეწველობა, დიდი ოქტომბრის პირველ მონაპოვარს, საბჭოთა ხელისუფლების პირმშოს — ქუთაისის მაუდის ფაბრიკას თავისი სახელოვანი ისტორიით, თავისი საამაყო წარსულით საპატიო ადგილი უკავია.

იგი არის დიდი ლენინის წინასწარდასახულობათა ცოცხალი და უკვდავი განსახიერება, იგი არის მშობლიური კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა ძმური მეგობრობის ცხოველმყოფელობის სიმბოლო.

ქუთაისის მშრომელებს ახსოვთ ყოველივე ეს და ახლა, დიადი დღესასწაულის წინ, ისინი კვლავ და კვლავ მხურვალე მადლობას უძღვნიან კომუნისტურ პარტიას, დიდ რუს ხალხს, რომლის ძმური და უანგარო დახმარებით ქართველმა ხალხმა შექმნა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მძლავრი, თანამედროვე ინდუსტრია.

შ. ჯავახაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: ზემოთ — სასადილო შესვენების დროს ფეიქართა ჯგუფს ახალ ამბებს აცნობს ფაბრიკის პარტბიუროს მდივნის მოადგილე ამხ. ბ. გადაბაძე; ქვემოთ — ძველი ფეიქარი ვერა ჭეიშვილი, რომელიც 32 წელიწადია ფაბრიკაში მუშაობს, თავის გამოცდილებას უზიარებს წარმოებაში ახალმოსულ ლილი ჯანელიძეს.

ფოტო ლ. ხერხეულიძისა.



აჭარელი მსახიობები კახეთში

ყვარელი. (საკ. კორ.). აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის კოლექტივი (მხატვრული ხელმძღვანელი ო. კუპრაშვილი) ამას წინათ საგასტროლოდ იყო კახეთის რაიონებში, მათ შორის წოთელწყაროში, ლაგოდეხსა და ყვარელში. ფილარმონიის მსახიობები კონცერტებს აწყობდნენ საკოლმეურნეო კლუბებში, მეცხოველეობის ფერმებში.

ნიჭიერად და ოსტატურად არის მომზადებული საესტრადო პროგრამა „ბათუმიდან თბილისამდე“, რომლის ავტორია რ. ყენია. რაიონის მშრომელთა მოწონება დაიმსახურეს მსახიობებმა ი. ბაკაკურმა, მ. თოხაძემ, ე. ბეროზაშვილმა, ნ. იორდანიძემ, კ. ზუბიაშვილმა.

მიმდინარე სეზონში აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობები ესტუმრნენ 20 რაიონს და მოაწყეს 30-ზე მეტი კონცერტი.

ოქტომბრის რევოლუცია და იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის კრიზისი

ვ. ი. ლენინი აღმოსავლეთის ხალხთა ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ყოველთვის განიხილავდა სოციალისტური რევოლუციის ამოცანებთან განუყოფელ კავშირში. ჯერ კიდევ 1913 წელს ლენინი წერდა: „აზიის გამოღვიძება და ევროპის მოწინავე პროლეტარიატის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლის დაწყება მომასწავებელია მსოფლიო ისტორიის ახალი ხანის დადგომისა XX საუკუნის დამდეგს“ (თხზ., ტ. 19, გვ. 81). ცხოვრებამ დაადასტურა ლენინური განჭვრეტის სისწორე.

ოქტომბრის რევოლუციის დროიდან ვითარდება კოლონიური სისტემის კრიზისი, რომელიც განაპირობებს მთლიანად იმპერიალიზმის პროგრესიულად მზარდ დასუსტებას. თავისი არსით კოლონიური სისტემის კრიზისი, რომელიც კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ორგანული ნაწილია, წარმოადგენს იმპერიალისტური დამონების და კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ექსპლოატაციის სისტემის ნგრევის ისტორიულ პროცესს ამ ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დარტყმების და მათ მიერ პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად.

კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაებნენ ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს, პირველ ხანებში ჯეროვნად არ ჰქონდათ შეგნებული თავიანთი განმათავისუფლებელი ამოცანები, ხოლო ამ ხალხების პროგრესული ძალები ორგანიზებული არ იყვნენ. მხოლოდ ოქტომბრის მაგალითით, რომელმაც მოსპო ეროვნული ჩაგვრა ჩვენს ქვეყანაში, მათ ნათლად დაინახეს თავიანთი ბრძოლის მიზნები და გამარჯვების გზები.

ორ მსოფლიო ომს შუა განვლილი მთელი პერიოდი აღსავსე იყო ჩაგრული ხალხების ბრძოლით იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული განთავისუფლებისათვის. ოქტომბრის რევოლუციის უშუალო გავლენით პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მალე დაიწყო სახალხო აჯანყება ინდოჩინეთში, ფილიპინებზე, კორეაში, სირიაში, განმათავისუფლებელი ომები მაროკოში, ავღანეთში. 1918-1922 წლებში განვითარდა მასობრივი განმათავისუფლებელი ბრძოლა ინდოეთში. ჩინეთში მძლავრ ანტიიმპერიალისტურ მოძრაობას, რომელიც 1919 წელს დაიწყო, მიეცა იმპერიალისტებისათვის საშიში ძალა უკვე 1925-1927 წლებში. იმპერიალიზმმა პირველი მარცხი განიცადა. 1919 წელს ინგლისი იძულებული იყო ეცნო ავღანეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. 1921 წელს სახალხო რევოლუციამ გაიმარჯვა მონღოლეთში. ეგვიპტელი ხალხის აჯანყებებმა 1919 და 1921 წლებში აიძულა ინგლისი ეცნო ეგვიპტის დამოუკიდებლობა. თუმცა, ეს ცნობა ფორმალური აღმოჩნდა. ეგვიპტემ სავსებით მოუღო ბოლო კოლონიალიზმს მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად და მის შემდეგ კოლონიური სისტემის კრიზისის განვითარების პირობები შეიცვალა. ამ პირობებს ღრმა ანალიზი გაუკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

ომი დამთავრდა იმით, რომ არსებითად დასუსტდა ორი ყველაზე დიდი კოლონიური სახელმწიფო — ინგლისი და საფრანგეთი და განადგურდა ორი კოლონიური სახელმწიფო — იაპონია და იტალია. ამან გააადვილა კოლონიური და დამოკიდებული ხალხების მიერ განმათავისუფლებელი ამოცანების გადაჭრა. დამარცხებამ, რომელიც საბჭოთა კავშირმა აგება მთლიანად მსოფლიო ფაშიზმს, ჩაგრული მასები ალაფრთოვანა კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სოციალიზმის გადაქცევას მსოფლიო სისტემად. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა არსებითად ეხმარებოდა ჩაგრულ ხალხებს ჯერ კიდევ თავისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში. როცა ბევრმა ამ ხალხთაგანმა თავი დააღწია კოლონიურ მონობას, შექმნილმა ახალგაზრდა დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა არ მოისურვეს კვლავ დამორჩილებოდნენ იმპერიალისტთა დიქტატს და ესწრაფვოდნენ იმას, რომ განემტკიცებინათ თავიანთი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და აეშენებინათ თავიანთი ეროვნული ეკონომიკა. წინათ ასეთი მისწრაფება ფართო მასშტაბით ვერ განხორციელდებოდა. სხვა საქმეა ახლა, როცა მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმოშობამ და განმტკიცებამ ძირი გამოუთხარა ზოგიერთი იმპერიალისტური სახელმწიფოს ფინანსური ჯგუფების მონოპოლიურ მდგომარეობას ეკონომიურად სუსტი ქვეყნების მიმართ. ის, რომ სსრ კავშირი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები მზად არიან დაეხმარონ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს მათი დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნის ღონისძიებებში, სულ უფრო უწყობს ხელს განთავისუფლებული ქვეყნების ხალხთა სამართლიან მისწრაფებებს და სულ უფრო აფერხებს კოლონიალიზმის პოლიტიკის განხორციელებას. მეორე მსოფლიო ომ ს შემდეგ კოლონიური სისტემის კრიზისის განვითარების ახალმა პირობებმა ხელი შეუწყო მის გადაზრდას უმაღლეს ეტაპში. თუ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შუა პერიოდში ამ კრიზისის განვითარება იმით გამოიხატებოდა, რომ ირყეოდა იმპერიალიზმის საფუძვლები კოლონიებში (მაშინ მხოლოდ ცალკეულმა კოლონიურმა ქვეყნებმა მოიპოვეს სახელმწიფო დამოუკიდებლობა), თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს კოლონიური სისტემის დაშლა, იგი მთლიანად ინგრევა. მეორე მსოფლიო ომამდე კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 1,5 მილიარდ კაცს. ომის დამთავრების შემდეგ კოლონიური მონობისა და იმპერიალისტური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლდნენ ქვეყნები, რომელთა მოსახლეობა შეადგენს 1.300 მილიონ კაცს.

ჩინეთმა, ჩრდილოეთმა კორეამ, ჩრდილოეთმა ვიეტნამმა თავი დააღწიეს არა მარტო კოლონიურ სისტემას, არამედ მთლიანად მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემასაც. ამ ქვეყნებში ახალი სუვერენული ეროვნული სახელმწიფოების შექმნა მოხდა სახალხო დემოკრატიის დამკვიდრების ფორმით. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ამ ქვეყნებში ხელმძღვანელობდა მუშათა კლასი მარქსისტულ-ლენინური პარტიების მეთაურობით. თავი დააღწია რა მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემას, ეს სამი ქვეყანა ჩაება მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში.

ინდოეთში, ეგვიპტეში, ინდონეზიაში, ბირმასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში შექმნილი ისტორიული პირობების გამო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელმძღვანელობა ეროვნული ბურჟუაზიის ხელში აღმოჩნდა. იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებას აქ თან ახლდა არა სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოების, არამედ ბურჟუაზიულ-პარლამენტური რესპუბლიკების შექმნა. თავი დააღწიეს რა კოლონიურ სისტემას, ეს ქვეყნები დარჩნენ მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემაში, ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ არის კოლონიალიზმის სხვადასხვა ნაშთი.

მიუხედავად ამისა, იმპერიალიზმი არსებითად დასუსტებულია უკვე იმით, რომ ამ ქვეყნებმა მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ამასთან ისინი ისწრაფვიან მოიპოვონ ეკონომიური დამოუკიდებლობაც თავიანთი მრეწველობის, მათ შორის მძიმე მრეწველობის განვითარების გზით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ამჟამად მიმდინარეობს სოციალიზმის ქვეყნების დაახლოება მთელ რიგ ქვეყნებთან, რომლებიც წინათ იმპერიალიზმის რეზერვს შეადგენდნენ. მეტი წილი ყოფილი კოლონიური ქვეყნები ახორციელებენ დამოუკიდებელ პოლიტიკას, მეგობრობენ სოციალისტურ ქვეყნებთან, უარს ამბობენ იმპერიალისტურ ბლოკებში მონაწილეობაზე, შედიან მშვიდობის ზონაში. ხდება ორი მსოფლიო ნაკადის: სოციალიზმისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლისა და მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის რეალური შეერთება. ამ შეერთების ბაზაა ინტერესების ერთობა საერთო მტრის — იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

კოლონიური სისტემის დაშლის პროცესი არ დამთავრებულა.

ჯერ ერთი, ყოფილ კოლონიურ ქვეყნებში კიდევ არის კოლონიალიზმის ეკონომიური ფესვები. ინდოეთში, ცეილონზე, ბირმაში, სუდანსა და ზოგიერთ სხვა ყოფილ კოლონიურ ქვეყანაში ინგლისის მონოპოლიები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მნიშვნელოვან ეკონომიურ პოზიციებს.

მეორე, მთელი რიგი ქვეყნები ჯერ კიდევ კოლონიების მდგომარეობაში არიან. კოლონიებისა და არათვითმმართველი ტერიტორიების მოსახლეობა ამჟამად შეადგენს 160 მილიონ კაცს. თუ აზიაში მეტმა წილმა ქვეყნებმა თავი დააღწია კოლონიურ ჩაგვრას, ამის თქმა არ შეიძლება აფრიკაზე, სადაც ქვეყნები, რომელთა ტერიტორია შეადგენს აფრიკის კონტინენტის ტერიტორიის 70 პროცენტს, კვლავ კოლონიური სისტემის შემადგენლობაში რჩებიან. ფაქტიური კოლონიური ექსპლოატაციის ობიექტი არიან ლათინური ამერიკის ქვეყნებიც, თუმცა ფორმალურად მათ აქვთ სახელმწიფო სუვერენიტეტი.

მესამე, იმპერიალისტები სრულიადაც არ არიან უმოქმედონი კოლონიური სისტემის დაშლის წინაშე. ისინი იღებენ სხვადასხვა ღონისძიებებს, რათა შეინარჩუნონ კოლონიური ექსპლოატაციის რეჟიმი და აღადგინონ იგი იმ ქვეყნებში, რომლებმაც უკვე მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

მოქმედებენ რა ძველი საშუალებებით, იმპერიალისტები აწყობენ დამსჯელ ექსპედიციებს (როგორც კენიაში 1952-1954 წლებში), კოლონიურ ომებს (როგორც ალჟირში, იემენში, ომანში), ახდენენ მთავრობის გადატრიალების ინსპირაციას (როგორც გვატემალაში 1954 წელს, იორდანიაში—1957 წელს). დაშინების მიზნით აწყობენ შეიარაღებულ დემონსტრაციებს (მსგავსად ამერიკის მე-6 ფლოტის კურსირებისა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რაიონში), ცდილობენ ერთი ქვეყანა წააქეზონ მეორის წინააღმდეგ (როგორც, მაგალითად, პაკისტანი ინდოეთის წინააღმდეგ ქაშმირის საკითხში).

ამასთანავე იმპერიალისტები იყენებენ „ახალი კოლონიალიზმის“ მეთოდებს, რომლის არსი ითვალისწინებს ხალხთა ჩაგვრის უფრო მოქნილი და შენიღბული პოლიტიკის გამოყენებას. სუსტად განვითარებული ქვეყნები შეჰყავთ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში (სეატო, ბაღდადის პაქტი, ამერიკის ქვეყნების პაქტი) და ამით ხდიან კოლონიური ექსპანსიის ობიექტებად. „ახალი კოლონიალიზმის“ ერთ-ერთი მეთოდია დამონება „დახმარების“ საბაბით. ასეთი „დახმარების“ ნამდვილი აზრი თავს იჩენს ეიზენჰაუერის აღიარებული დოქტრინით. წერილში კონგრესისადმი 1957 წლის 5 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მოითხოვა რწმუნებანი ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის 200 მილიონი დოლარი „დახმარების“ მიცემის და ამ რაიონში ამერიკის შეიარაღებული ძალების გამოყენებისათვის ყოველ მომენტში, როცა იგი ამას საჭიროდ მიიჩნევს. „ახალი კოლონიალიზმის“ მეთოდების განხორციელებაში ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტურ კაპიტალს ეკუთვნის წამყვანი როლი, ამჟამად მან იკისრა კოლონიური სისტემის მთავარი დამცველის ფუნქცია იმისათვის, რასაკვირველია, რომ ხელთ იგდოს კოლონიური სამფლობელოები, წაართვას ისინი თავის მეტოქეებს.

ასეთი ფაქტები მოწმობენ, რომ კოლონიური სისტემის დაშლის პროცესი მიმდინარეობს ხალხებისათვის დიდი სიძნელეების პირობებში. მაგრამ მთელი საქმეა განვითარების გაბატონებული ტენდენცია, რომლის მიზანია კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაცია. იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის პროცესი, რომელიც კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ნაწილია, ვითარდება ისტორიული გარდუვალობით და სულ უფრო აახლოებს დროს, როცა იმპერიალიზმი საბოლოოდ დაკარგავს თავის კოლონიურ ზურგს.

მ. დრაგილევი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია

სირიის საჩივრის განხილვა კლენარულ სხდომაზე

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გენერალური ასამბლეის დილის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა სირიის საჩივრისა იმის შესახებ, რომ მის უშიშროებასა და საერთაშორისო მშვიდობას საფრთხე ემუქრება. პირველი გამოვიდა პაკისტანის დელეგატი ალი-ხანი, რომელმაც, ცხადია, თავისი მიკერძებული პოზიციის გასამართლებლად, ხაზგასმით აღნიშნა, რომ პაკისტანი თურქეთის მოკავშირეა. უგულებელყო რა ფაქტები, ალი-ხანი ამტკიცებდა, რომ ცნობები სირიის საზღვარზე თურქეთის ჯარების კონცენტრაციის შესახებ თითქოს გაზვიადებულია, ხოლო თვით ჯარების კონცენტრაციას თითქოს აქვს „თავდაცვითი ხასიათი". ამრიგად, პაკისტანის დელეგატმა გაიზიარა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის აზრი ვერსია იმის შესახებ, რომ თითქოს თურქეთი კი არ ემუქრება სირიას, არამედ სირია — თურქეთს.

უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა ლ. თ. პალამარჩუკმა აღნიშნა, რომ ნატოს ქვეყნების ცალკეული წარმომადგენლები ამაოდ ცდილობენ სადავო გახადონ გენერალურ ასამბლეაში სირიის საჩივრის განხილვის სამართლიანობა. არც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს, არც თურქეთის წარმომადგენელს, თქვა მან, რომ აღარაფერი ვთქვათ ნატოს სხვა ქვეყნების წარმომადგენლებზე, არ ძალუძთ გაბათილონ რომელიმე წარმოდგენილი საბუთი სირიის წინააღმდეგ შეთქმულების, და შეიარაღებული აგრესიის მზადების შესახებ.

გენერალური ასამბლეა, განაგრძო პალამარჩუკმა, სწორად მოიქცევა, თუ არ დააყოვნებს საჭირო ღონისძიებათა მიღებას იმისათვის, რომ გამოიძიოს სიტუაცია ადგილზე, როგორც ამას სირია მოითხოვს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ დაძაბულობა სრულიადაც არ შენელებულა და არ არის არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ სირიის წინააღმდეგ შეთქმულების ამერიკელმა და თურქმა ორგანიზატორებმა და სულისჩამდგმელებმა ხელი აიღეს თავიანთ აგრესიულ გეგმებზე.

სირიაზე თავდასხმის გეგმა, თქვა შემდეგ პალამარჩუკმა, ახლა ცნობილი გახდა, ხოლო ახლო აღმოსავლეთში აგრესიული ბრიკების სულისჩამდგმელნი მსოფლიო საზოგადოებრივობის გულისწყრომას იწვევენ. მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ ფარული დიპლომატიური აქტივობა, რომლის მიზანია დაეხმაროს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს თავიდან აიცილონ სირიის მიმართ მათი აგრესიული ზრახვების შემდგომი მხილება და ხელი შეუშალოს სიტუაციის გამოძიებას. ამ ბოლო დროს შემჩნეულია ფარული თამაში, რომლის მიზანია ის, რომ სირიის — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრის თხოვნა სირია-თურქეთის საზღვარზე ვითარების გამოსაკვლევად კომისიის შექმნის შესახებ დასამარებულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის ინტერესებისათვის.

მდგომარეობა სირიის რაიონში, განაცხადა უკრაინის სსრ დელეგატმა, კვლავ მეტად დაძაბული რჩება იმ პოლიტიკის შედეგად, რომელიც ჩამოყალიბებულია ყბადაღებულ „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინაში". ამ „დოქტრინის" ეკონომიური არსი განისაზღვრება ნავთობის მონოპოლიების ინტერესებით. მისი პოლიტიკური მიზანდასახულობაა ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობის უზრუნველყოფა ახლო და შუა აღმოსავლეთში. აღნიშნული მიზნის მიღწევის საშუალებაა იმ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა, რომლებიც იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობისათვის, კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ.

უკრაინის სსრ წარმომადგენელმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ შეერთებული შტატები თურქეთს აქეზებენ აგრესიისათვის სირიის წინააღმდეგ, აღუთქვამენ რა დახმარებას ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა თანახმად.

პალამარჩუკმა მხარი დაუჭირა სირიის წინადადებას იმის შესახებ, რომ სირია-თურქეთის საზღვარზე მდგომარეობის გამოსაკვლევად დანიშნოს კომისია და წარედგინოს მოხსენება გენერალურ ასამბლეას.

სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბითარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატები თავიანთ გამოსვლებში შეეცადნენ მთელი საკითხი გაეტანათ „ცივი ომის" სიბრტყეში იმის ნაცვლად, რომ პასუხი გაეცათ სირიის საჩივრის არსზე. შემოიტანა რა საჩივარი გენერალური ასამბლეის განსახილველად, განაცხადა ბითარმა, სირიის მთავრობას სურდა თავიდან აეცილებინა საფრთხე თავისი უშიშროებისადმი და შეენარჩუნებინა საერთაშორისო მშვიდობა. საჩივარი წარმოდგენილ იქნა მას შემდეგ, რაც სირიის მთავრობამ ამოწურა ყველა შესაძლებლობა დაერწმუნებინა თურქეთი, რომ მას წაეყენა თავისი ჯარები სირიის საზღვრებიდან და ამით შეენელებინა დაძაბულობა ამ რაიონში.

მაგრამ დიპლომატიურ დემარშებს სასურველი შედეგები არ მოჰყვა. ამის ნაცვლად სირიის წინააღმდეგ, რომლის დამოუკიდებელი პოლიტიკა არ მოსწონს ზოგიერთ სახელმწიფოს, გიჟაღდა ფართო ცილისმწამებლური კამპანია. სირიას — ქვეყანას, რომლის მოსახლეობა ოთხ მილიონს შეადგენს, ბრალს სდებენ, რომ იგი თითქოს საფრთხეს უქმნის არა მარტო შუა აღმოსავლეთს, არამედ აგრეთვე მთელ „თავისუფალ" სამყაროს. ბითარმა მოაგონა დამსწრეთ, რომ ამგვარ მტკიცებას მიმართავდნენ ერთ დროს ქვეყნები, რომლებიც ამზადებდნენ აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ.

შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგატების მტკიცებას, რომ იარაღი, რომელიც სირიამ შეიძინა თავდაცვისათვის, თითქოს საფრთხეს უქმნის მის მეზობლებს, სირიის დელეგატმა იკითხა: რატომ არის, რომ იმ სახელმწიფოს მიერ მცირე რაოდენობით შეძენილი იარაღი, რომელიც არ შედის რაიმე სამხედრო კავშირში, „საფრთხეს" ქმნის, ხოლო ისრაელისა და თავით ფეხთამდე შეიარაღებული თურქეთის მიერ დიდძალი იარაღის მიღება „არ ქმნის საფრთხეს?".

იმის ცდა, რომ საეჭვოდ მიიჩნიონ სირიის უფლება შეიძინოს იარაღი თავდაცვისათვის, თქვა ბითარმა, ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევაა.

უპასუხა რა თურქეთის დელეგატს, რომელიც ამტკიცებდა, თითქოს სირიის ტერიტორიაზე შენდება უცხოეთის სამხედრო და საზღვაო ბაზები და არსენალები, ბითარმა განაცხადა, რომ ეს ცილისწამებაა, და მოითხოვა, რომ თურქეთის დელეგატმა დასახელოს თუნდაც ერთ-ერთი მოგონილი ბაზა.

სირიის დელეგატმა აღნიშნა, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთში ახლანდელ დაძაბულობას საფუძვლად უდევს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს ცდას დაამყაროს ან შეინარჩუნოს ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის კოლონიური ბატონობა.

დასასრულ სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მდგომარეობა თურქეთ-სირიის საზღვარზე საშიშია და მოუწოდა ასამბლეას უაღრესად სერიოზულად მოეკიდოს სირიის საჩივარს.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

სხდომის დასასრულს გამოვიდნენ იტალიის, ბელგიის დელეგატები, აგრეთვე ჩანკაიშელი, რომლებიც ამართლებდნენ თურქეთის აგრესიულ პოლიტიკას სირიის წინააღმდეგ.

ა. ა. გრომიკომ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ იმათ, ვისაც ბრალი მიუძღვის სირიის წინააღმდეგ აგრესიის მომზადებაში, ვერ შეძლეს ჩაეფუშათ სირიის მთავრობის მიერ გენერალური ასამბლეის წინაშე დასმული საკითხის განხილვა.

ამავე დროს მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს როდია ის მთავარი საქმე, რომელიც უნდა გააკეთოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რათა აღმოფხვრას საფრთხე, რომელიც სირიის უშიშროებას ემუქრება, და ამით აღმოფხვრას საფრთხე, რომელიც ემუქრება მშვიდობასა და უშიშროებას შუა აღმოსავლეთში და საყოველთაო მშვიდობას. გენერალური ასამბლეა, თქვა ა. ა. გრომიკომ, თავის მოვალეობას სირიაზე შეიარაღებულ თავდასხმის თავიდან აცილების საქმეში შეასრულებს, თუ არ დასჯერდება ამას და მიიღებს გარკვეულ გადაწყვეტილებებს ამ მიზნის მისაღწევად. ჩვენ მხედველობაში გვაქვს როგორც გადაწყვეტილებანი სირია-თურქეთის საზღვარზე შექმნილი მდგომარეობის გამოკვლევის შესახებ, ისე აგრეთვე გადაწყვეტილებანი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სირიაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში, რათა აღკვეთონ აგრესია და დასაჯონ მშვიდობის დამრღვევნი გამოიყენონ ამისათვის შეიარაღებული ძალაც კი.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ამხილა დასავლეთის დიპლომატიის მანევრები, რომელთა მიზანია შუა აღმოსავლეთში ვითარების შესახებ დამამშვიდებელი განცხადებებისა და საბჭოთა კავშირის მიმართ ცილისმწამებლური ვამოხდომების საშუალებით ჩამოაშორონ მსოფლიო საზოგადოებრივობის ყურადღება საკითხის არსს და მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენონ მსოფლიო.

ჩვენ უკვე ვამბობდით და კვლავ ვიმეორებთ ამას, განაცხადა საბჭოთა დელეგატმა, რომ საბჭოთა კავშირი ბრალს სდებს და ყოველგვარი საფუძველი აქვს ამისათვის.

საბჭოთა კავშირი ბრალს სდებს თურქეთს, რომ იგი ამზადებს სამხედრო თავდასხმას სირიაზე, ხოლო შეერთებულ შტატებს ბრალს სდებს, რომ ისინი აქეზებენ თურქეთს, რათა გადაადგმევინონ საბედისწერო ნაბიჯი, დააყენონ იგი ამ საშიშ გზაზე.

საბჭოთა კავშირი ბრალს სდებს იმათ, ვინც უხეშად ერევა ახლო და შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოების საშინაო საქმეებში და ვინც ზეგავლენისა და შანტაჟის გზით ცდილობს ამ რაიონის ქვეყნები ზედიზედ ჩააბას სამხედრო ბლოკებში, რომლებიც ისახავენ მშვიდობის ინტერესებისათვის უცხო აგრესიულ მიზნებს. ასეთი ზეგავლენისა და შანტაჟის მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 ფლოტის მოქმედება ხმელთაშუა ზღვაში. ფლოტისა, რომელსაც ჯერ არც კი დაუმთავრებია ერთი პროვოკაციული აქცია და უკვე იწყებს მეორეს.

საბჭოთა კავშირი ბრალს სდებს იმათ, ვინც აწყობს შეთქმულებებს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების კანონიერ მთავრობათა წინააღმდეგ და ეწევა ძირგამომთხრელ მუშაობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ, უხეშად თელავს რა ამით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს, რომლებზეც თვითონვე აქვს მოწერილი ხელი.

საბჭოთა კავშირი გადაჭრით ბრალს სდებს ეგრეთწოდებული „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინის" სულისჩამდგმელთ, რომლის დანიშნულება, როგორც ეს ახლა ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც არა სურს თვალი აარიდოს ამას, ის არის, რომ დაადასტუროს ეს ექსპანსიონისტური და აგრესიული მისწრაფებანი ახლო და შუა აღმოსავლეთის მიმართ.

სწორედ მათი მოქმედების შედეგად ახლო და შუა აღმოსავლეთი გადაიქცა რაიონად, რომელსაც ემუქრება საშიში მოულოდნელობანი და აფეთქებანი.

საბჭოთა კავშირი, განაცხადა შემდეგ ა. ა. გრომიკომ, მოითხოვს, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები ვითარდებოდნენ როგორც დამოუკიდებელნი, რომ შეწყდეს უცხოეთის ჩარევა ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში, რადგან ეს შეესაბამება არა მარტო ამ ქვეყნების ძირეულ ეროვნულ ინტერესებს, არამედ მშვიდობის დაცვის ინტერესებსაც.

ამერიკის შეერთებული შტატები, პირიქით, ახორციელებენ იმ კურსს, რომ სისტემატურად ჩაერიონ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების საქმეებში, შეთქმულებებიც კი მოაწყონ სახელმწიფო გადატრიალების მიზნით. საბჭოთა კავშირი წინააღმდეგია, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოები ჩაებან სამხედრო ბლოკებში.

ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ აბამენ ამ ქვეყნებს ასეთ ბლოკებში და ცდილობენ გადაიქციონ ისინი სამხედრო პლაცდარმად, იყენებენ რა უხეშ ზეგავლენას იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც ამას წინააღმდეგობას უწევენ.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ყველა ქვეყნის ფართო ეკონომიურ თანამშრომლობას ახლო და შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან და ამ სახელმწიფოებისთვის ეკონომიური დახმარების გაწევას მათი ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით.

ამერიკის შეერთებული შტატები, პირიქით, ცდილობენ ეკონომიურად დამონონ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები იმ ვარაუდით, რომ, როდესაც ესა თუ ის ქვეყანა ხელფეხშეკრულია ეკონომიურად, მაშინ უფრო ადვილია მისი ტერიტორიის გადაქცევა ნატოს სამხედრო ბაზად. და ახლა, როდესაც ჩვენ აქ, ასამბლეაში, განვიხილავთ სირიის მთავრობის მიმართვას გენერალური ასამბლეისადმი, ამერიკის შეერთებულ შტატებში აშკარად მსჯელობენ იმ საკითხზე, თუ როგორ ჩაფუშონ ზეგავლენის გზით ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც დამყარდა არაბთა ზოგიერთ ქვეყანასა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის, და მთლიანად დაუმორჩილონ არაბთა ქვეყნების ეკონომიკა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკას. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საბჭოთა კავშირი არავითარ ამგვარ მიზანს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ან რომელიმე სხვა ქვეყანასთან ამ ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობის მიმართ არ ისახავდა და არ ისახავს.

საბჭოთა კავშირის წინადადებაა დაგმობილ იქნას ძალის გამოყენება იმ სადავო საკითხების გადაჭრისას, რომლებიც ახლო და შუა აღმოსავლეთს ეხება.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აშკარად გამოაცხადეს, რომ ისინი მოითხოვენ შეიარაღებული ძალის გამოყენებას იმ ქვეყნების მიმართ, რომლებსაც არა სურთ იარონ მათი პოლიტიკის ფარვატერში.

საბჭოთა კავშირს აშკარად და არაერთხელ განუცხადებია, რომ იგი არათუ თვითონ ცდილობს იქონიოს კარგი ურთიერთობა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, არამედ საჭიროდ მიაჩნია, რომ ასეთივე კარგი ურთიერთობა იყოს ამ ქვეყნებსა და დასავლეთის სახელმწიფოებს, ამასთანავე ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, რადგან ეს შეესაბამება საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების ინტერესებს, მშვიდობის ინტერესებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, პირიქით, ახლო და შუა აღმოსავლეთის ყოველ ქვეყანას, რომელმაც დაამყარა საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობა, მათ შორის სავაჭრო ურთიერთობა, თავის მტრად აცხადებს. ვერავის ვერ შეიყვანს შეცდომაში იმის დამოწმება, თითქოს კომუნიზმი ემუქრებოდეს ამ ქვეყნებს. ასეთ ხერხს ერთ დროს მიმართავდნენ ჰიტლერელები.

ყოველივე ეს ცხადყოფს, ხაზგასმით აღნიშნა ა. ა. გრომიკომ, რომ ვითარება, რომელიც შეიქმნა სირიის გარშემო, შედეგია ახლანდელი პოლიტიკური კურსისა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ.

ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ ამჟამად სირია-თურქეთის საზღვარზე შექმნილი დაძაბული მდგომარეობისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ინგლისსაც. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ინგლისის დელეგაციის წარმომადგენელთა ყურადღება მიაქცია იმ შედეგების მთელ სერიოზულობას, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს იმას, რომ ინგლისი მხარს უჭერს საშიშ თამაშს, რომელიც ახლო და შუა აღმოსავლეთში წამოიწყეს ამერიკის გარკვეულმა წრეებმა.

დასასრულ ა. ა. გრომიკომ მხარი დაუჭირა სირიის წინადადებას — შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიუკერძოებელი კომისია სირია-თურქეთის საზღვარზე არსებული მდგომარეობის გამოსაკვლევად. ჩვენი ღრმა რწმენით, ხაზგასმით აღნიშნა მან, ამ წინადადების წინააღმდეგ ვერ გაილაშქრებს ვერც ერთი მთავრობა, რომელსაც სურს იცოდეს ჭეშმარიტება და რომელიც იჩენს არა მოჩვენებითს, არამედ ნამდვილ ზრუნვას მშვიდობის ბედისათვის.

ვინც ილაშქრებს და გაილაშქრებს კომისიის შექმნის წინააღმდეგ, კისრულობს ამისათვის პასუხისმგებლობას, რადგან იგი ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უწყობს მშვიდობის მტრებს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებანი

29 ოქტომბერს სტოკჰოლმში მუშაობა დაამთავრა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ. ბიურომ მიიღო მთელი რიგი დოკუმენტები: „საერთო რეზოლუცია", „დეკლარაცია სირიისადმი მუქარის შესახებ", რეზოლუცია „განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კონგრესის შესახებ", „მიმართვა ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ ორი კვირის კამპანიის მოწყობის შესახებ" და სხვ.

საერთო რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „ძალის პოზიციის" პოლიტიკა წარმოადგენს კოლონიალიზმის შენარჩუნების სტიმულს და მრავალი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის მიზეზს. ეს პოლიტიკა, ხაზგასმით აღნიშნულია რეზოლუციაში, პასუხისმგებელია სამხედრო ბლოკების არსებობისათვის და აღრმავებს მთელი მსოფლიოს გათიშვას.

ეხება რა შუა აღმოსავლეთში არსებულ მდგომარეობას, ბიურო აღნიშნავს, რომ სირიას ემუქრებიან ისევე, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ ემუქრებოდნენ ეგვიპტეს, სამხედრო ინტერვენციით, რომელიც შეიძლება გადაიქცეს მსოფლიო ომად. ამ რაიონის ხალხთა სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ყოველგვარი ხელყოფა, ხაზგასმით აღნიშნულია რეზოლუციაში, დაუყოვნებლივ უნდა იქნას აღკვეთილი.

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ აფრიკასა და მსოფლიოს სხვა რაიონებში მთლიანად უნდა იქნას დაკმაყოფილებული კოლონიური ხალხების მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი.

აღნიშნავს რა, რომ ევროპაში მთავარ საფრთხეს წარმოადგენს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, რეზოლუცია მოითხოვს ღონისძიებათა განხორციელებას უშიშროების სისტემის შესაქმნელად ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით, რაც ხელს შეუწყობდა აგრეთვე გერმანიის გაერთიანებას.

შემდეგ რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ, როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, მსოფლიო პრობლემების გადასაჭრელად საესებით აუცილებელია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ადგილი, რომელიც მას კანონიერად ეკუთვნის.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურო აღნიშნავს, რომ საჭიროა შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა, რაც ხელს შეუწყობდა საყოველთაო განიარაღების საკითხის გადაჭრას. რეზოლუცია აღნიშნავს დიდი სახელმწიფოების მეთაურთა შეხვედრის აუცილებლობას და შეიცავს მოწოდებას მშვიდობის ყველა მომხრისადმი ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ მიაღწიონ ასეთ შეხვედრას.

„დეკლარაციაში სირიისადმი მუქარის შესახებ" მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურო აცხადებს, რომ შუა აღმოსავლეთში შეიქმნა სერიოზული მდგომარეობა, რაც საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

აღნიშნავს რა, რომ მთელი შუა აღმოსავლეთისა და მსოფლიოს სხვა რაიონების საზოგადოებრიობა ილაშქრებს ახალი აგრესიის მზადების წინააღმდეგ, ბიურო მოუწოდებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის მომხრეებს გააერთიანონ თავიანთი ხმები და თავიდან აიცილონ საომარი მოქმედება. ჩარევასა და ზეგავლენას, ხაზგასმით აღნიშნულია დეკლარაციაში, ბოლო უნდა მოეღოს. სირიის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი უზრუნველყოფილ უნდა იქნას, და მთელი მსოფლიოს მშვიდობა გადარჩეს საფრთხეს.

რეზოლუციაში „განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კონგრესის შესახებ" მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურო მოითხოვს მოწვეულ იქნას 1958 წლის შუა რიცხვებში კონგრესი განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხზე.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ მიიღო აგრეთვე „მიმართვა ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ ორი კვირის კამპანიის მოწყობის შესახებ", რომელშიც მოუწოდებს მშვიდობის დაცვის ყველა ეროვნულ კომიტეტს განახორციელონ 1957 წლის 10-დან 25 ნოემბრამდე უაღრესად ფართო და მრავალფეროვანი სახალხო ღონისძიებანი გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტისათვის.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მოუწოდეს სასწრაფოდ მიიღოს ღონისძიებანი სირიისადმი მუქარის აღმოსაფხვრელად.

საფრანგეთის კომპარტია მოითხოვს მემარცხენე მთავრობის შექმნას

პარიზი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტია ყველა ღონისძიებას ხმარობს, რათა მიაღწიოს მთავრობის კრიზისის ლიკვიდაციას მემარცხენე ძალების შეკავშირების საფუძველზე. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ 6 და 23 ოქტომბერს პარტიის ხელმძღვანელობამ უკვე მიმართა მემარცხენე პარტიებსა და ჯგუფებს წინადადებით განიხილონ საკითხი მემარცხენე მთავრობის შექმნის შესახებ, რომელიც შეძლებს ბოლო მოუღოს ომს ალჟირში. მაგრამ ამ პარტიების ხელმძღვანელებს არ გაუცია რაიმე პასუხი ამ მიმართვაზე. „უყურადღებოდ რომ ტოვებენ ჩვენს წინადადებებს და განაგრძობენ დემოკრატიული ძალების გათიშვას, — აღნიშნავს პოლიტბიუროს, — ამით გი მოლემ და სხვა მემარცხენე პარტიებისა და ჯგუფების ხელმძღვანელებმა მხოლოდ ხელი შეუწყეს რეაქციის მოთხოვნათა გაძლიერებას, რეაქციისა, რომელსაც ახლანდელი მომენტი შესაფერისად მიაჩნია, რათა ხელში აიღოს ქვეყნის ხელმძღვანელობა".

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს ახალი წერილი გაუგზავნა მემარცხენე პარტიებსა და ჯგუფებს.

გაზეთ „ლუმანიტეში" გამოქვეყნებულია ტექსტი მორის ტორეზისა და ჟაკ დიუკლოს ახალი წერილისა სოციალისტური პარტიის გენერალური მდივნის გი მოლესადმი. წერილში ხაზგასმულია, რომ მთავრობის კრიზისი გაჰიანურდა, რადგან გრძელდება ცდები ეს კრიზისი გადაიჭრას მემარჯვენე ძალების მონაწილეობით, მაშინ როცა კრიზისის ლიკვიდაციის ერთადერთი საშუალებაა ორიენტაცია მემარცხენე ძალებზე. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები მეუხარებას გამოთქვამენ, რომ გი მოლემ არავითარი პასუხი არ გასცა მათს 6 და 23 ოქტომბრის წერილებზე და რომ ამგვარად დაიკარგა ძვირფასი დრო.

წერილში კვლავ წამოწენებულია წინადადება — მოეწყოს მემარცხენე პარტიების თათბირი, რათა მალე გადაიჭრას მთავრობის კრიზისი მემარცხენე მთავრობის შექმნის გზით.

თურქეთი განაგრძობს ჯარების კონცენტრაციას სირიის საზღვარზე

ბეირუთი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ას-სიასა" იუწყება, რომ, მაშინ როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა მსჯელობს სირიის საჩივარზე, თურქეთი განაგრძობს თავისი შეიარაღებული ძალების კონცენტრაციას სირიის საზღვარზე. სირიის ოფიციალური წრეები, წერს გაზეთი, აცხადებენ, რომ სირიის საზღვრისპირა ქალაქების ალეპოსა და ლატაკიის რაიონში კონცენტრირებული თურქეთის ჯარები შეადგენენ 60 ათას ჯარისკაცს, რის გამო სირია იძულებულია განახორციელოს ღონისძიებანი თავისი საზღვრების დაცვის განსამტკიცებლად.

დასვენების დღეებში მდინარე მტკვრის ნაპირზე ქალაქ რუსთავის შესასვლელთან ნახავთ თევზაობის ბევრ მოყვარულს. სურათზე: ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოქსქიმიური საამქროს ცვლის უფროსი ვ. პიროგოვი თევზაობის დროს.

ფოტო ი. დვალისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

★

დამთავრდა სოფლის ფიზკულტურელთა სპარტაკიადა

ბათუმი. (საკ. კორ.). დამთავრდა ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სოფლის ფიზკულტურელთა სპარტაკიადა.

მძლეოსნობაში გუნდური პირველი ადგილი საქართველოს გუნდმა დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა მოლდავეთის გუნდი. ფრენბურთში ბაკთა შორის ჩემპიონი გახდა საქართველოს გუნდი, ქალთა შორის — აზერბაიჯანის სპორტსმენთა კოლექტივი.

თავისუფალ ჭიდაობაში უძლიერესები იყვნენ საქართველოს წარმომადგენლები, რომლებმაც 24 შეხვედრიდან 23 გამარჯვება მოიპოვეს და 7 წონითს კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავეს. წარმატებით ჩაატარეს შეხვედრები აგრეთვე საქართველოს ველოსრბოლელებმა.

სპარტაკიადის საერთო გუნდური პირველობა 9,5 ქულით დამსახურებულად მოიპოვა საქართველოს სოფლის ფიზკულტურელთა კოლექტივმა. მეორე ადგილზეა აზერბაიჯანის გუნდი (20 ქულა). 21 ქულით მესამე ადგილი მოიპოვეს მოლდავეთის სპორტსმენებმა.

საქართველოს გუნდს საზეიმოდ გადაეცა თასი, ხოლო სპორტსმენებს — პირველი ხარისხის დიპლომები.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა" კლასი

მოსკოვი. 30 ოქტომბერი. დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე შედგა მატჩი ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. თამაშობდნენ ლენინგრადის „ზენიტი" და მოსკოვის „ტორპედო". შეხვედრა დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაბიკიძე.

ბუქარესტში ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უხუცეს წევრთა ჯგუფი

ბუქარესტი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბუქარესტში რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უხუცეს წევრთა ჯგუფი ა. თ. გორკინის მეთაურობით. დელეგაცია რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში მონაწილეობას მიიღებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულში.

ვაგზალში სტუმრებს შეხვდნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი კ. პირვულესკუ, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ფაზეკაში, რუმინეთის მუშათა მოძრაობის ვეტერანები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძველი წევრების დელეგაცია პოლონეთში

ვარშავა, 29 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძველი წევრების დელეგაცია შეხვდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეებს. შეხვედრას დაესწრნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზაგადსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ე. მორავსკი და ე. ოხაბი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. კლიშკო, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ტ. დანიშევსკი.

ა. ზაგადსკი გულთბილად მიესალმა სტუმრებს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პოლონეთის მთავრობისა და სახელმწიფო საბჭოს სახელით.

სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის მეთაურმა მ. ბ. მიტინმა.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელთა და დელეგაციის წევრთა შორის გაიმართა გულითადი საუბარი.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — მშვიდობისათვის, **რუსთაველის სახელობის** — ხალისიანი მეგობრები, **მარჯანიშვილის სახელობის** — ხეები ზეზეულად კვდებიან, **სომხური დრამის** — განგის ქალიშვილი, **მუსიკალური კომედიის** — საყვარელი დისშვილი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბორის ძნელაძე (აბონემენტი № 30, 7 ს.), **თოჯინების ქართული** — ნუკრი (2 ს.), **ფილარმონია** — პიანისტ რ. პეტროსიანის (პარიზი) კონცერტი (რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ოქტომბერი** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **